# ახალგაზრდა ივერიელი

დაარსებულია 1921 წელს

21 მაისი, სამშაბათი, 1991

№ 58 (11691)

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 10 კაპ.


## შეჩერდით, ბავშვებს ნუ გვესვრით!




9 აპრილის ტრაგედიის ერთ-ერთი „გმირის" მარშალ იაზოვის ერთგული ჯარისკაცების ავტომატით ტყვიით განგმირული გორელი მოსწავლის ზაზა კაკაშვილის დაკრძალვას სრულიად საქართველო დაესწრო. ნორჩი ფეხბურთელის მხეცურმა მკვლელობამ თხემით ტერფამდე შეძრა ქართველი და არაქართველიც. კიდევ ერთი ცრემლიანი, ტკივილიანი დღე გაგვითენეს ბოროტების იმპერიის დამცველმა საბჭოთა ჯარისკაცებმა.

სამგლოვიარო მრავალათასიანი პროცესია გორის № 9 საშუალო სკოლასთან სუნთქვაშეკრული გაქვავდა. ძაძითა და ცოცხალი ყვავილებით შეუმოსავთ ზაზა კაკაშვილის თანატოლებს მშობლიური სკოლა. აქ, სკოლასთან გამოსათხოვებლად დაასვენეს მისი ცხედარი. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე ბატონი თეიმურაზ ქორიძე, რესპუბლიკის პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას და უზენაესი საბჭოს სახელით ღრმა სამძიმარს გადასცემს ზაზა კაკაშვილის მშობლებს, ახლობლებს, მის თანაკლასელებს, აღმზრდელ-მასწავლებლებს.

ზაზას თანაკლასელები მაღლა სწევენ ქართულ და რუსულ ენებზე დაწერილ ტრანსპარანტებს: „მკვლელებო, პასუხს აგებთ", „შეჩერდით, ბავშვებს ნუ გვესვრით!" ამით ისინი პროტესტს უცხადებენ ჯალათებს და უშიშრად ამცნობენ, რომ არასოდეს არ იმსახურებენ მკვლელების გვერდით, საბჭოთა არმიაში....

**რობერტ ცუცქირიძე,**
**საქინფორმის კორესპონდენტი.**
**თემო ნაფიშვილის ფოტო**
**(საქინფორმის ფოტოქრონიკა)**

ვაქვეყნებთ პრეზიდენტობის კანდიდატების ტელევიზიით გამოსვლების დაზუსტებულ გრაფიკს 21-დან 25 მაისამდე

| | გამოსვლის დღეები 21 | 22 | 23 | 24 | 25 |
|---|---|---|---|---|---|
| | გამოსვლის საათები | | | | |
| ზვიად გამსახურდია | 22.40; | 22.40; | 22.40; | 22.40; | 22.40; |
| ირაკლი შენგელაია | 20.20; | 20.20; | 20.20; | 20.20; | 20.20; |
| ჯემალ მიქელაძე | 20.00; | 20.00; | 20.00; | 20.00; | 20.00; |
| ვალერიან ადვაძე | 21.40; | 21.40 | 21.40; | 21.40; | 21.40; |
| თამაზ კვაჭანტირაძე | 19.40; | 19.40; | 19.40; | 19.40 | 19.40; |
| ნოდარ ნათაძე | 19.20; | 19.20; | 19.20; | 19.20; | 19.20; |

ცენტრალური საარჩევნო კომისია

საქინფორმის პოლიტიკური ფოტომატიანე

## პრეზიდენტის არჩევნების წინ




1991 წლის 26 მაისი. საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ეს დღე შევა როგორც ხალხთა ნების თავისუფალი გამოვლინების დღე, რომლებმაც თავიანთი პრეზიდენტი აირჩიეს.

როგორც ცნობილია, წელს ცხრა აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება პრეზიდენტის პოსტის შემოღების შესახებ, ხოლო 14 აპრილს პარლამენტის პირველი სესიის საგანგებო სხდომაზე საქართველოს პირველ პრეზიდენტად ერთხმად აირჩიეს ზვიად გამსახურდია. იმავე საგანგებო სხდომაზე თვით პრეზიდენტის თხოვნით გადაწყდა, რომ რესპუბლიკის მოსახლეობა 26 მაისს საყოველთაო, თანასწორუფლებიანი და პირდაპირი კენჭისყრით აირჩიოს სახელმწიფოს მეთაური.

არჩევნების წინ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მოდის მრავალრიცხოვანი წერილები, რომლებშიც მხარს უჭერენ ზვიად გამსახურდიას კანდიდატურას საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე. ამომრჩევლები მის სახელს უკავშირებენ იმედებს, რომ მიღწეულ იქნება ყველა კეთილი ნების ადამიანის სანუკვარი მიზნები, თავისუფლება და ბედნიერი მომავალი.

**სურათზე:** არჩევნების წინ რუსთაველის პროსპექტზე.
**ზიზი ქიქავაძის ფოტო.**
**(საქინფორმის ფოტოქრონიკა).**

## საერთაშორისო ცნობები

1. გერმანიის კანცლერი ჰელმუტ კოლი ვაშინგტონს ეწვია პრეზიდენტ ჯორჯ ბუშთან და ამერიკის კონგრესის ლიდერებთან შესახვედრად. ეს არის მისი პირველი ვიზიტი შეერთებულ შტატებში ორი გერმანიის გაერთიანების შემდეგ. ვაშინგტონში გამგზავრების წინ ბონში გამართულ პრეს-კონფერენციაზე ჰ. კოლმა განაცხადა, რომ მომავალში გერმანია აქტიურ პოზიციებს დაიკავებს საერთაშორისო პოლიტიკაში. მიუხედავად მის მიმართ გამოთქმული კრიტიკისა სპარსეთის ყურის ომში უმნიშვნელო როლის გამო.

ვარაუდობენ, რომ პრეზიდენტ ჯ. ბუშთან შეხვედრისას ისინი განიხილავენ გაერთიანებულ გერმანიის ახალ როლს ევროპაში და მსოფლიო არენაზე, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისა და საბჭოთა კავშირისთვის დახმარების გაწევას, და რაც ჰ. კოლისთვის ყველაზე მთავარია, უცხოურ კაპიტალდაბანდების გაფართოებას ყოფილ აღმოსავლეთ გერმანიის მრეწველობაში.

გაერთიანების შემდეგ აღმოსავლეთ გერმანიის ეკონომიკა თითქმის მთლიანად მოიშალა, იხურება სახელმწიფო საწარმოები, რომლებიც ვერ უძლებენ კონკურენციას და თავისუფალ ბაზარს, ასობით ათასი ადამიანი უმუშევარი რჩება. მოსალოდნელია, რომ თავისი ვიზიტის დროს კანცლერი შეეცდება მიაღწიოს ამერიკულ კერძო კაპიტალდაბანდებათა გაფართოებას აღმოსავლეთ გერმანიის ეკონომიკაში.

●

იუგოსლავიის რესპუბლიკა. ხორვატიაში ჩატარებულ რეფერენდუმში, წინასწარი მონაცემებით, ამომრჩეველთა 94 პროცენტმა ხმა მისცა ხორვატიის გამოსვლას იუგოსლავიის ფედერაციიდან და დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოს შექმნას. როგორც ბი-ბი-სის კორესპონდენტი მიუთითებს, ასეთი შედეგები არავისთვის არ ყოფილა მოულოდნელი, რადგან ხორვატებს სურთ რომ მხარი დაუჭირონ თავიანთი მთავრობის გეგმას — მომავალ თვეში გამოაცხადოს დამოუკიდებლობა და შექმნას კავშირი სხვა არაკომუნისტურ რესპუბლიკებთან, კერძოდ სლოვენიასთან.

მოსალოდნელია, რომ რეფერენდუმის შედეგები კიდევ უფრო გააძლიერებს დაძაბულობას იუგოსლავიის ყველაზე დიდ რესპუბლიკაში — სერბიაში, რომელიც მხარს უჭერს არსებული ფედერაციის შენარჩუნებას. ეთნიკურ სერბთა უმცირესობამ ხორვატიაში ბოიკოტი გამოუცხადა რეფერენდუმს, თუმცა ოფიციალურ პირთა ცნობით, კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის მოსახლეობის 86 პროცენტმა.

●

შეერთებული შტატების მთავრობამ შეუწყვიტა იუგოსლავიას ეკონომიკური დახმარების გაწევა ამ ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დარღვევის, კერძოდ, კოსოვოს ოლქში ალბანელთა შევიწროების გამო. როგორც „ნიუ-იორკ ტაიმსი" იუწყება, ეს გადაწყვეტილება, რომელიც ძალაში შევიდა 6 მაისს, ეყრდნობა ამერიკის კონგრესის მიერ გასული წლის ნოემბერში მიღებულ რეზოლუციას, მაშინ კანონმდებლებმა მოითხოვეს, რომ ამერიკის მთავრობას შეეწყვიტა დახმარება იუგოსლავიისათვის 6 თვის შემდეგ, თუ გაგრძელდებოდა ადამიანის უფლებათა სისტემატური უხეში დარღვევები. როგორც გაზეთი აღნიშნავს, ამერიკის ადმინისტრაციის ეს გადაწყვეტილება აიძულებს იუგოსლავიას, კრედიტების თხოვნით მიმართოს საერთაშორისო სავალუტო ფონდს და რეკონსტრუქციისა და განვითარების მსოფლიო ბანკს.

●

პოლონეთის პრეზიდენტმა ლეხ ვალენსამ დაიწყო ოფიციალური ვიზიტი ისრაელში. რეიტერის სააგენტოსთვის ინტერვიუში ლ. ვალენსამ იმედი გამოთქვა, რომ შეძლებს დაამყაროს ახალი ურთიერთობა ებრაელ და პოლონელ ხალხს შორის.

ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობა აღდგა გასულ წელს — პოლონეთში კომუნისტური რეჟიმის დამხობის შემდეგ. ამჟამად პოლონეთში სულ რამდენიმე ათასი ებრაელი ცხოვრობს, მას შემდეგ, რაც მეორე მსოფლიო ომის დროს ნაცისტებმა გაანადგურეს 3 მილიონზე მეტი ებრაელი მოსახლეობა, ანტისემიტური განწყობილებები პოლონეთში დღესაც შეიმჩნევა. თვითონ ლეხ ვალენსა თავისი წინასაარჩევნო კამპანიის დროს თავგამოდებით ამტკიცებდა, რომ მის ნათესაობაში არავინაა ებრაელი, რისთვისაც მან შემდეგ ბოდიში მოიხადა.

თავისი ვიზიტის დროს ლეხ ვალენსა სიტყვით გამოვა ისრაელის კნესეტში (პარლამენტში), შეხვდება ასევე ქვეყნის პრემიერ-მინისტრს იცხაკ შამირს, რომელიც წარმოშობით პოლონელია. გარდა ამისა, თვითონ პრეზიდენტის თხოვნით, რომელიც მორწმუნე კათოლიკეა, მისი ვიზიტის დასკვნითი ნაწილი დაეთმობა ქრისტიანთათვის წმინდა ადგილების მონახულებას.

**ირინა თევდორაშვილი**

პირველი საპრეზიდენტო

## მოკლე ბიოგრაფიული ცნობები:

ირაკლი შენგელაია დაიბადა 1947 წელს თბილისში.

1971 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ხუთი წელი იმუშავა ინჟინრად.

1976-დან 1979 წლამდე დუშეთის რაიონის სოფლის სკოლებში მათემატიკას, რუსულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა.

1979-დან 1989 წლამდე იყო ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომელი, 1990 წლის 15 იანვრიდან — საქართველოს რესპუბლიკურ-ფედერალური პარტიის თავმჯდომარე.

1991 წლის იანვრიდან საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკელთა კავშირის სათათბიროს თავმჯდომარეა.

ჰყავს მეუღლე და ორი ქალიშვილი.

●

წარმოგიდგენთ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატს, საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკელთა კავშირის სათათბიროს თავმჯდომარეს ირაკლი შენგელაიას

# ირაკლი შენგელაია:



# „ბრძოლას ბოლომდე ვაპირებ!“

**— ბატონო ირაკლი, რა შეიცვალა უკანასკნელ ხანს თქვენს, როგორც პოლიტიკოსის, ცხოვრებაში?**

— მოდით, ერთ რამეზე ახლავე შევთანხმდეთ — დღეს საქართველოში პოლიტიკოსი არ შეიძლება არსებობდეს. პოლიტიკოსი არსებობს იქ, სადაც არსებობს პოლიტიკა, ჩვენ კი დღეს მხოლოდ პოლიტიკის ანა-ბანას ვეცნობით. მეც და სხვებიც დღეს მხოლოდ პოლიტიკურ ნიადაგს ვამზადებთ, ჭეშმარიტი პოლიტიკოსები კი საქართველოში მას შემდეგ გაიზრდებიან, როცა პოლიტიკა [illegible] როცა დამყარდება ურთიერთობა საზღვარგარეთის ქვეყნებთან, როცა მოხდება პოლიტიკური და ეკონომიკური გარდაქმნები... ამდენად დღეს პოლიტიკოსობაზე პრეტენზიის გამოცხადება უხერხულადაც კი მეჩვენება და ამდენად არც მე ვთვლი თავს პოლიტიკოსად.

**— მაშ ვინ ხართ?**

— ადამიანი, რომელსაც გარკვეული სარგებლობის მოტანა შეუძლია მომავალი ეროვნული პოლიტიკისათვის. ჩემს ცხოვრებაში კი ცვლილებები მართლაც მოხდა. კერძოდ: გასული წლის ოქტომბრის არჩევნებში ჩვენი ბლოკი „თავისუფლება“ დამარცხდა. მასში შემავალ რესპუბლიკურ-ფედერალურ პარტიაში მოხდა განხეთქილება და პარტია გაუქმდა, მის ნაცვლად შეიქმნა საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკელთა კავშირი. კავშირი არის პოლიტიკური ბლოკ „თავისუფლების“ წევრი. ესე იგი საარჩევნო ბლოკი გადაიქცა პოლიტიკურ ბლოკად და მასში ამჟამად ოთხი პოლიტიკური ორგანიზაციაა გაერთიანებული. მე, როგორც ამ ბლოკის წარმომადგენელი, ვმონაწილეობ პრეზიდენტის არჩევნებში.

და მაინც, ამ ბოლო ხანს ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტი ჩემს ცხოვრებაში იყო ის, რომ ქალიშვილი შემეძინა. მარიამი ჯერ ერთი თვისაც არ არის.

**— გასული წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ თქვენ განაცხადეთ, რომ ბლოკი „თავისუფლება“ თუნდაც იმიტომაც დამარცხდა არჩევნებში, რომ ქართველმა ხალხმა ჯერჯერობით მხოლოდ თეთრი და შავი ფერების გარჩევა ისწავლა, სპექტრი კი მოგვიანებით გამოჩნდება...**

— ვფიქრობ, მას შემდეგ მცირედით თუ შეიცვალა მდგომარეობა. ეს მცირედი კი ისაა, რომ დაიწყო მიმდინარე პროცესების ანალიზი. ხალხი უკვე ხედავს, რომ დროის ამ მონაკვეთში რაღაც შეიძლებოდა გაკეთებულიყო და არ გაკეთდა...

**— კერძოდ?**

— კერძოდ: არ მოხდა მნიშვნელოვანი დემოკრატიზაცია საერთოდ სახელმწიფო და ხელისუფლების სხვადასხვა სფეროში; კრიტიკულად არ შეფასდა ქვეყანაში მიმდინარე პროცესები; ზოგადად პასიური ეკონომიკური პოლიტიკა ხორციელდება, ზოგი საკითხი კი ზედმეტად რადიკალურად წყდება... ეს და ბევრი სხვა საკითხიც წარმოდგენილი და განხილულია ჩემს წინასაარჩევნო პროგრამაში.

**— ბატონო ირაკლი, ალბათ, დამეთანხმებით, რომ ოპოზიციაში ყოფნა და მოქმედი ხელისუფლების კრიტიკა (თანაც ისეთ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნის ხელისუფლებისა, როგორიც დღეს საქართველოა) მაინც ადვილია. იქნებ ახლა ისიც გვითხრათ, რა გააკეთა, რა მოგწონთ დღევანდელი ხელისუფლებისა?**

— რა მომწონს?.. სიმართლე გითხრათ, ეს კითხვა საკუთარი თავისთვის არ დამისვამს...

**— საყოველთაოდ ცნობილია, რამდენ სიკეთეს ჰპირდება ყოველი პრეზიდენტობის კანდიდატი ხალხს. ხვალ რომ პრეზიდენტი გახდეთ, რას გვპირდებით?**

— უპირველესად სამოქალაქო პოლიტიკური თანხმობის მიღწევას; დიალოგს ყველა პარტიასთან; ე. წ. სამხრეთ ოსეთის პრობლემის მოხსნას (გამოსავალი ერთია — საბჭოური ავტონომიის ნაცვლად თვითმმართველობის რა ფორმა უნდა მივიღოთ, ეს არის გადამწყვეტი); აფხაზეთის პრობლემების დაუყოვნებლივ მოგვარებას სამართლებრივ პრინციპზე დაყრდნობით; პოლიტიკური სტრუქტურების დემოკრატიზაციასა და დემოკრატიული ინსტიტუტის შემოღებას; ეკონომიკურ რეფორმებს (პირველ რიგში მცირე პრივატიზაციის განხორციელებას); პრესის განთავისუფლებას — პრესის თავისუფლების ძირითად პირობად გამოცემის თავისუფლება მიმაჩნია...

**— თვლით, რომ ეს ყველაფერი შეიძლება განხორციელდეს დღევანდელ საქართველოში?**

— დიახ. და კიდეც განხორციელდება თუ საქართველოს პრეზიდენტობისათვის ბრძოლა პოლიტიკური პროგრამების ბრძოლა იქნება და ამ ბრძოლაში ღირსეული გაიმარჯვებს...

**— ბატონო ირაკლი, მავანი და მავანი მაინც ფიქრობს, რომ ირაკლი შენგელაია ბოლო მომენტში მოხსნის თავის კანდიდატურას...**

— არავითარ შემთხვევაში! ასეთი რამ არც მიფიქრია, ბრძოლას ბოლომდე ვაპირებ! თუ დავმარცხდები, გავაგრძელებ ჩემს საქმიანობას, როგორც პროფესიონალი და როგორც პოლიტიკოსი. ვფიქრობ, ჯერჯერობით შემიძლია პოლიტიკაში სარგებლობის მოტანა, მაგრამ თუ დავრწმუნდები, რომ სხვას ჩემზე მეტი შეუძლია, მაშინ ჩემს პროფესიას დავუბრუნდები...

**ესაუბრა რუსუდან ლებანიძე**

# საქართველოს ეროვნული საზოგადოებრივი მოძრაობა „თანადგომის“ მიმართვა

საქართველოს დაუდგა გაჭირვების ჟამი, არავინ გვინდობს. ღვთისმშობლის წილხვედრ კუთხეს თვით მამაზეციერიც შემოწყრა და სახლ-კარი ნანგრევებად გვიქცია. რაღაც ცოდვაა ჩვენს თავს და ჯვრის კიდეც. ღირსნიც ვართ, ღმერთი დავივიწყეთ და წითელ ეშმაკს რომ მივყიდეთ სული, დავეცით უზნეობამდე, ვერ მოვუარეთ ჩვენს მიწა-წყალს და უდარდელობით, ხშირად ანგარებითაც ურჯულო ხალხთა საჯიჯგნად გავხადეთ იგი. ვეღოლიავებოდით უცხოებს, ათასი ჯურის მანქურთებს, ერთმანეთს კი არ ვინდობდით, და ახლაც არ ვინდობთ. ასეთ უმძიმეს ვითარებაში, როდესაც უამრავი გარეშე მტერი და „შემოკედლებული“ „ძმადნაფიცი“ ხალხები შემოგვესევია და ქართველთა სისხლს ღვრიან, კრემლის ბარბაროსულ რეჟიმს კი ეკონომიკურ და ინფორმაციულ ბლოკადაში ვყავართ გამომწყვდეულნი, ჩვენ თავს ჩვენვე უნდა ვუშველოთ. ვიწამოთ ღმერთი, აღვადგინოთ და დავაფუძნოთ ეროვნული ზნეობრივი ტრადიციები, შევიყვაროთ ერთმანეთი, დავძლიოთ ამბიციურობა, პირადული ინტერესების უპირველესობა და შევიკრათ ერთ მუშტად. მაშინ კი ღმერთიც გადმოგვხედავს, მაშინ ჩვენი ერი ზნეობრივად ამაღლებული და ანგარიშგასაწევი გახდება ყველასათვის.

მართალია დღეს, ყველა ერთობას გაიძახის, მაგრამ ურთიერთდაპირისპირებას მაინც ბოლო არ უჩანს. ზოგი ნაწყენია, ზოგიც გაბუტული, ზოგს არაფერი მოსწონს, ინთხევა ღვარძლი, ვრცელდება ჭორები, ისე გამოდის, რომ თითქოს ყველამ ყველაფერი უკეთ უწყის, ხოლო უზენაესი საბჭო კი შეცდომას შეცდომაზე უშვებს. რას არ სწამებენ მათ, დიქტატორობას, რადიკალიზმს, არაპროფესიონალიზმს და ა. შ.

ზოგნი ახლავე ითხოვენ ისეთ დემოკრატიას, როგორც ეს დამოუკიდებელ, ცივილიზებულ ქვეყნებშია დამკვიდრებული. ის კი ავიწყდებათ, საქართველო ჯერ რომ დამოუკიდებელი არ არის და კომუნისტური, ბარბაროსული საბჭოთა იმპერიის დიქტატურის გარემოცვაში რომაა ჯერ მოქცეული. ბევრი არც იმას უფიქრდება, რომ დღეს კამათისა და დავის დრო აღარ არის. შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე ყველა სადაო საკითხი სამომავლოდ უნდა გადაიდოს და დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში, ახლებურად და უკვე ჭეშმარიტად დემოკრატიულად გადავწყვიტოთ საჭირბოროტო საკითხები. თუ ვინმეს გააჩნია რაიმე წინადადება რაც თავისთავად მისასალმებელია და ეს, მისი აზრით, თუ დღესვე წადგება საქართველოს, სჯობს ამის შესახებ საკითხი დააყენოს უშუალოდ უზენაესი საბჭოს წინაშე, ითანამშრომლოს მასთან, არადა მხოლოდ პრესის, რადიო-ტელევიზიის საშუალებით საკუთარი მოსაზრებების აფიშირება და უზენაესი საბჭოსადმი დაპირისპირება, სხვა არაფერია თუ არა აშკარა დემაგოგია და ნებით თუ უნებლიეთ ერის გათიშვის მცდელობა. აქედან გამომდინარეობს ერთი კატეგორიული მოთხოვნა — აიკრძალოს ან საგრძნობლად შეიზღუდოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ისეთი მასალების გავრცელება, რომლებიც უფრო აღრმავებს ურთიერთდაპირისპირების პროცესს და ერის გათიშვას უწყობს ხელს. ჩვენის აზრით, ეს უნდა გაითვალისწინოს ყველამ, ურთიერთდაპირისპირებულმა პოლიტიკურმა ძალებმაც და, რასაკვირველია, უზენაესმა საბჭომაც. დღეს ისე, როგორც არასდროს, გვჭირდება ერთობა. რამდენ ძნელი არ უნდა იყოს გადალახო პირადი შეუთავსებლობა ურთიერთის მიმართ, ყველა, და მათ შორის ურთიერთდაპირისპირებული ძალებიცა და ინტელიგენციის განაწყენებული ნაწილიც, მხარში უნდა ამოუდგეს ჩვენს უზენაეს საბჭოს, რათა ერთად ვიბრძოლოთ სანუკვარი მიზნის მისაღწევად, ერთად ვებრძოლოთ ჩვენს მტრებს. სხვა არა იყოს რა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ, როგორც იტყვიან, „ფონს გასვლისას ცხენებს არ ცვლიან“. შევეშვათ მხოლოდ კრიტიკას და კარგიც დავინახოთ, დავეხმაროთ და გავამხნევოთ უზენაესი საბჭო, გავამხნევოთ ერთმანეთი.

მივმართავთ ყველას, მთელ საქართველოს!

გავერთიანდეთ ერთიან ძალად, ხელი ხელს მივცეთ და გული გულს, ხმა კი მივცეთ პრეზიდენტობის კანდიდატს ზვიად გამსახურდიას, ადამიანს, ვინც თავისი ცხოვრება დაუკავშირა მხოლოდ ერის სამსახურს. პრეზიდენტად, ალბათ, სხვებიც გამოდგებიან, მაგრამ მივცეთ ამ კაცს საშუალება ბოლომდე მიიყვანოს დაწყებული საქმე.

აქვე გვინდა მოვიტანოთ ა/წ-ის 30 მარტს გამართული „თანადგომის“ ყრილობაზე მიღებული დეკლარაციის მე-16 მუხლი:

ინტელიგენციას საერთოდ და კერძოდ მის იმ ნაწილს, ვინც 9 აპრილთან დაკავშირებით და შემდგომშიაც დიდი მუშაობა გასწიეს ერის ინტერესების დასაცავად, „თანადგომა“ მოუწოდებს: ამჯერადაც გამოიჩინონ მეტი აქტიურობა, მეტი ინიციატივა. ამავე დროს, ყველამ უნდა იცოდეს, რომ დღეს ძალადობით ვერაფერს გავხდებით, დღეს ერს განსაკუთრებით სჭირდება ინტელექტუალები და ამიტომ მათ გაფრთხილება სჭირდება, უნდა დაიგმოს უსაფუძვლო გამოხდომები ინტელიგენციის მისამართით. თუ გნებავთ იმ საბაბითაც კი, რომ მათი ნაწილი კომუნისტები იყვნენ.

**„თანადგომის“ წევრ ორგანიზაციათა საკოორდინაციო საბჭოს სახელით:**

**ამირან ნადარაია, გელა კოზმავიძე, მელიტონ ბახია, თენგიზ გაჩეჩილაძე, ნოდარ გახარია, კახა მაქაცარია, რეზო ხალია, ნიკოლოზ სამადბეგიშვილი, ოთარ ქურდიანი, როსტომ ჩეკურიშვილი, თენგიზ ჩხეიძე, რეზო ხოფერია.**

პირველი საპრეზიდენტო

## წერილები რედაქციას

თბილისის 172-ე ბაგა-ბაღის თანამშრომელთა საერთო კრებაზე, რომელიც ამ დღეებში გაიმართა, გადაწყდა, რომ ერთსულოვნად დაგვეჭირა მხარი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერისათვის, ბატონ ზვიად გამსახურდიასათვის. იმედია, ზედმეტი განმარტება არ სჭირდება ჩვენს გადაწყვეტილებას.

ჩვენი კოლექტივი ბატონი ზვიადის პრეზიდენტად არჩევის შემდეგაც ყოველთვის იმათ რიგებში იქნება, ვინც საქმით და მხოლოდ საქმით ეცდება გვერდში დაუდგეს ეროვნულ პარლამენტს იმ დიადი მიზნის განხორციელებაში, რასაც საქართველოს სრული პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობა ჰქვია.

**ლია აფაქიძე,**
**თბილისი 172-ე ბაგა-ბაღის გამგე.**

●

გვეამაყება უნივერსიტეტელობა! — თავისუფალი საქართველოს სიმბოლო — ზვიად გამსახურდიამ სტუდენტობის წლები ხომ აქ გაატარა.

მისი ლექციებით ნასაზრდოებნი, გამოსვლებით თვალახილულნი, ლირიკით გაფაქიზებულნი ქედს ვუხრით.

გვასულდგმულებს კიდევ ერთი დღესასწაულის — 26 მაისის მოახლოება!

**ხათუნა ქებურია, გულიკო ვაშალომიძე, დეა ბერულავა,**
**თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტები.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტია ორი წლისაა...

**ბრბოს ჰყირდება — დიქტატორი,**
**ხალხს — პრეზიდენტი,**
**ერს — მეფე...**

საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტია, რომელიც 1801 წლის ანექსიიდან მოყოლებული საქართველოს ტერიტორიაზე დაარსებული მონარქისტული მრწამსის პირველი მასობრივი პოლიტიკური ორგანიზაციაა, მიზნად ისახავს საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენას კონსტიტუციური (პარლამენტური) მონარქიის ფორმით, შექმნილად გამოცხადდა 1989 წლის 10 აპრილს, თბილისში დატრიალებული ტრაგედიის მეორე დღეს, მანამდე არსებული საინიციატივო ჯგუფის (თემურ ჟორჟოლიანი, იასონ ფავლენიშვილი, ანდრო ჭელიძე, ნოდარ ლაბარტყავა, მიხეილ მაყაშვილი) გადაწყვეტილებით. დაარსების დღიდან პარტია აქტიურად მონაწილეობს საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში და ამჟამად წარმოადგენს ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ მძლავრ ორგანიზაციას; მის რიგებში გაერთიანებულია ათასობით ადამიანი, პარტიას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აქვს რეგიონალური ორგანიზაციები.

რა განაპირობებს მონარქისტული პარტიის ასეთ წარმატებებს ესოდენ მოკლე დროში?

საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტია ცარიელ ადგილზე არ წარმოქმნილა. როგორც ცნობილია, საქართველოს, ანუ ძველი ბერძენი და რომაელი ავტორების მიხედვით, იბერიის სამეფო დაარსდა ქრისტეს შობიდან III საუკუნის დამდეგს მეფე ფარნავაზის მიერ. უკვე ქრისტეს შობამდე I საუკუნეში, მაშინ როცა გალიაში, გალების ბელადი ვენცინგეტორიქსი ებრძოდა იულიუს კეისარს, პლუტარქესა და დიონ კასიუსის ცნობით, შორეული იბერიის მეფე არტოკი მეორე დიდ რომაელ სარდალს, გნეუსს ეომებოდა, და შედარებით მეტი წარმატებითაც. ყოველ შემთხვევაში, დამარცხების მიუხედავად, მან ვენცინგეტორიქსისაგან განსხვავებით, სიცოცხლეც შეინარჩუნა და სამეფოც, და მხოლოდ რომის მოკავშირეობა იკისრა. ამ სამეფომ გაუძლო მსოფლიოს უდიდესი იმპერიების — რომისა და პართიის, ბიზანტიისა და სასანური ირანის, არაბებისა და მონღოლების სეფიანთა სპარსეთისა და ოსმალეთის შემოტევებს და მეტიც, ქრისტეს აქეთ XII საუკუნეში ძლიერების მწვერვალსაც მიაღწია: ამ ეპოქაში საქართველოს სამეფო მთელ კავკასიას მოიცავდა და ახლო აღმოსავლეთის უძლიერეს სახელმწიფოს წარმოადგენდა — ეს იყო იმდროინდელი მსოფლიოს ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანა პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური თვალსაზრისით; მაგრამ გამუდმებულმა ბრძოლამ რიცხობრივად ასგზის აღმატებულ მტერთან დროთა განმავლობაში თავისი როლი შეასრულა.

რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა სწორედ სამეფოს აღდგენის დროშით მიმდინარეობდა — უკვე 1802 წელს, საქართველოში რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე I-ის მანიფესტის გამოცხადებიდან ორიოდე თვეში, ქართველმა თავადაზნაურობამ პროტესტით მიმართა მას და ქართული მონარქიის აღდგენა მოითხოვა — სწორედ ამ დღიდან იღებს სათავეს მონარქისტული მოძრაობა საქართველოში და ამ დროიდანვე იწყება რეპრესიები ამ იდეის მიმდევართა მიმართ. ამას მოჰყვა აჯანყებათა და შეთქმულებათა მთელი წყება (1804, 1810, 1812, 1819-20, 1832 წლების), რომლებიც იგივე მიზანს ისახავდნენ, მაგრამ ძალთა უთანასწორობის გამო მარცხით დამთავრდნენ.

საქართველოს სამეფოს აღდგენის იდეა არც XX საუკუნეში გამქრალა; 1907 წელს ქართველმა საზოგადოებრიობამ ჰააგის სასამართლოს წინაშე დასვა ეს საკითხი, რის საპასუხოდაც რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ II-ემ ნომინალურად აღადგინა 1783 წლის ტრაქტატი, მაგრამ ამ აქტს რეალურად ხორცი არ შესხმია. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დროსაც დემოკრატიული ფორმით (1918-1921 წ. წ.) და ამჯერად უკვე საბჭოთა რუსეთის მიერ მისი ხელმეორე ანექსიის შემდეგაც მონარქისტული იდეა, თუმცა კი სუსტად, მაგრამ მაინც ღვიოდა ქართველთა შორის, კერძოდ ზოგიერთ პარტიაში იყო მონარქისტული ფრაქციები, საბჭოთა ოკუპაციის პირობებშიაც კი არსებობდა იდეის მომხრე ადამიანთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯგუფები, რომელთა უმრავლესობამ თავისი მრწამსი სიცოცხლის ფასად დაუჯდათ, ხოლო ემიგრაციაში ეს იდეა კიდევ უფრო კონკრეტულად ჩამოყალიბდა, მაგალითად, ეროვნულ-სოციალისტური პარტიის მიერ. ამდენად, საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტია თამამად შეიძლება ჩაითვალოს თითქმის ორასწლოვანი ქართული მონარქისტული მოძრაობის მემკვიდრედ და მისი საქმის გამგრძელებლად. რამდენად შესაძლებელია, ან რამდენად აქტუალურია დღეს საქართველოში მონარქიის აღდგენა თუნდაც კონსტიტუციური ფორმით?

შესაძლებელია იმდენად, რამდენადაც საამისოდ არსებობს იურიდიული საფუძველი და ამასვე მოითხოვს ისტორიული სამართლიანობა: საქართველოში მეფობა არც ქართველი ერის და არც მისი მონარქის ნებით არ გაუქმებულა, ეს მოხდა გარეშე ძალის უხეში, უკანონო ზემოქმედებით — ეს ფაქტი საჯაროდ ცნო ჯერ რუსეთის ბოლო იმპერატორმა ნიკოლოზ II-ემ 1907 წელს 19 დეკემბრის აქტით, ხოლო შემდეგ რუსეთის საიმპერატორო ტახტის მემკვიდრე-რე რომანოვმა 1946 წლის 5 დეკემბრის აქტით. ისტორიული სამართლიანობის აღსრულებას ხელი უნდა შეუწყოს იმანაც, რომ ქართველ ერს, საბედნიეროდ, ჯერ არ დაუკარგავს ისტორიული მეხსიერება და კარგად ახსოვს, რომ მთელი მისი სახელმწიფოებრივი არსებობა, მისი დიდებული წარსული განუყოფლად არის დაკავშირებული მის მეფეებთან, მეტადრე ბაგრატიონთა სამეფო საგვარეულოსთან — მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს დინასტიასთან, რომელიც ათასი წლის მანძილზე ედგა სათავეში ქართულ მონარქიას. ამ საგვარეულომ მშობელ ერსა და ქვეყანას მისცა მრავალი დიდი პოლიტიკური მოღვაწე, სარდალი, მწერალი და მეცნიერი; არაერთ ჩვენს მეფეს ძნელბედობის ჟამს თავი დაუდვია სამშობლოსათვის და წამებულის გვირგვინი დაუდგამს სამეფო გვირგვინის ნაცვლად. ქართველი მეფენი ერთადერთნი იყვნენ მსოფლიოში, რომლებიც ბოლომდე, XIX საუკუნის დამდეგამდე თავიანთი ქვეშევრდომების მხარდამხარ, ხმლით ხელში ებრძოდნენ დამპყრობლებს, ხოლო მათი შთამომავალნი ასევე იარაღით ხელში მეთაურობდნენ განმათავისუფლებელ აჯანყებებს. ისინი გამოირჩეოდნენ საოცარი დემოკრატიზმით და სიახლოვით ხალხთან, ამიტომაც იყვნენ გარემოცულნი საყოველთაო სიყვარულით და პატივისცემით, რასაც გვიდასტურებენ არა მარტო ისტორიული თუ მხატვრული ლიტერატურის, არამედ ფოლკლორის ძეგლებიც, რომლებმაც, დღემდე შემოგვინახეს მათდამი მიძღვნილი უამრავი ლექსი, სიმღერა და გადმოცემა. ამის დასტურია ისიც, რომ საქართველოს სამეფოს ისტორიამ არ იცის არც ერთი სოციალური აჯანყება ან თუნდაც მეტ-ნაკლებად მასობრივი მღელვარება.

აღსანიშნავია, რომ ღვთის განგებით ეს დინასტია დღესაც გრძელდება, უკანასკნელ ქართველ მეფეთა ერთადერთი მემკვიდრე —ნუგზარ ბაგრატიონია. ასევე, ტახტის შესაძლო პრეტენდენტებად გვევლინებიან ბაგრატიონ-მუხრანელთა საგვარეულო სახლის წარმომადგენლები, ესპანეთში მცხოვრები ბატონიშვილი ირაკლის ვაჟიშვილები — გიორგი და ბაგრატ ბაგრატიონები.

თავისთავად ცხადია, დღევანდელ ვითარებაში, როცა სამეფოს გაუქმებიდან გასულია თითქმის 200 წელი და ამასთან, სამი წლით აღდგენილი სახელმწიფოებრიობის პოლიტიკური ფორმა რესპუბლიკა იყო, დემოკრატიის გზაზე შემდგარ ხალხს უნდა მიეცეს საშუალება მოახდინოს არჩევანი ე. ი. ჩვენ ვფიქრობთ, დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმის საკითხი უნდა გადაწყდეს ხალხის ნების გათვალისწინებით ზემოაღნიშნული მოსაზრებისა და იმ ქვეყნების მაგალითის საფუძველზე, სადაც კონსტიტუციური მონარქია პოლიტიკური, ეკონომიკური სტაბილურობისა და ეროვნული ტრადიციის შენარჩუნების გარანტად გვევლინება. იმედი გვაქვს, საქართველო კონსტიტუციურ მონარქიას აირჩევს, მით უმეტეს, რომ სადღეისოდ არც ერთ პოლიტიკურ ორგანიზაციას და არც ფართო საზოგადოებრიობას ჯერჯერობით საწინააღმდეგო პოზიცია არ გამოუხატავს. პირიქით, ამ იდეას ბევრი მხარდამჭერიც ჰყავს და, ალბათ, კიდევ მეტი ეყოლება მომავალში.

ახლა რაც შეეხება ჩვენი იდეის აქტუალურობას. ჩვენი ღრმა რწმენით, ეს იდეა დღეს გაცილებით უფრო აქტუალურია, ვიდრე ოდესმე და აი რატომ: ათასწლეულების მანძილზე ქართველმა ერმა გამოიმუშავა უაღრესად თავისთავადი, მდიდარი სულიერი და მატერიალური კულტურა, თავისებური, სპეციფიური ცხოვრების წესი და მსოფლმხედველობა. ქართული ცივილიზაციის ნაყოფია ორიგინალური დამწერლობა, ათასხუთასწლოვანი უწყვეტი მწიგნობრული ტრადიცია, შესანიშნავი ლიტერატურა, არქიტექტურა, ხალხური მუსიკა, (ჭედვა, ფოლკლორი, მეურნეობის სხვადასხვა დარგის მიღწევები; ქართული ცივილიზაციის ნაყოფია ჯანსაღი ინდივიდუალიზმი, პიროვნული ღირსების გრძნობა, ღრმა პატრიოტიზმი და ამავე დროს ნამდვილი ინტერნაციონალიზმი, ტოლერანტობა, რჯულთშემწყნარებლობა. ადამიანთა ურთიერთობის დახვეწილი ფორმები. ეს ყოველივე წარმოადგენს ქართველი ერის წვლილს საკაცობრიო ცივილიზაციის საგანძურში, მაგრამ ბოლო ორასი, განსაკუთრებით სამოცდაათი ბოლშევიკური წლის მანძილზე უცხო ცივილიზაციის არნახული პოლიტიკური, ეკონომიკური და იდეოლოგიური ზემოქმედების შედეგად ამ ცივილიზაციის მაგისტრალური გეზი გამრუდდა, შეფერხდა, მეტიც, ფაქტობრივად შეჩერდა მისი განვითარება, რაც მორალურ, კულტურულ დეგრადაციას უქადის ქართველ ერს, უკეთეს შემთხვევაში, საქართველო შეიძლება იქცეს ეთნოგრაფიულ ნაკრძალად, თავისებურ ბანტუსტანად ან რეზერვაციად, ეს კი ეროვნული, და არა მარტო ეროვნული, არამედ საკაცობრიო კატასტროფის ტოლფასია თანამედროვე მსოფლიოში, რომელსაც ყოველი, თუნდაც ყველაზე მცირერიცხოვანი ერის ისტორიული, კულტურული თუ სამეურნეო გამოცდილება სჭირდება უკეთესი მომავლის, ნამდვილი საკაცობრიო სახლის ასაშენებლად. ამიტომ არის, რომ ეროვნებისა და სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების პროცესი, რომელიც ამჟამად ისახება მსოფლიოში, თავისებურად გულისხმობს კულტურული და ეთნიკური დიფერენციაციის გაღრმავებას და ნაციონალიზმს, ეროვნული თვითცნობიერების წამოწევას წინა პლანზე, საყოველთაო ნიველირების საფრთხის წინაშე, რაც ქართველებზე გაცილებით მრავალრიცხოვან ერებსაც კი აშინებს. სწორედ ამ ეროვნული კატასტროფის თავიდან აცილებას, ცივილიზაციის გადარჩენას ჯერ კიდევ შემორჩენილი პოტენციალის ამოქმედებას და უფრო-დევ ამის მეშვეობით ერთა დიდ ოჯახში ღირსეული ადგილის დაკავებას, მკაფიო ეროვნული სახის შენარჩუნებას უნდა შეუწყოს ხელი, არა პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღებამ, არამედ მონარქიის აღდგენამ საქართველოში. სახელმწიფოებრიობის ტრადიციული ფორმის აღდგენა მძლავრ სტიმულს მისცემს ტრადიციული სტრუქტურების, ეთნოფსიქოლოგიის და, მათი მეშვეობით, ტრადიციული ზნეობის, ეროვნული და პიროვნული ღირსების აღორძინებას. რაც მთავარია, ეს ხელს შეუწყობს ქრისტიანული რელიგიის აღორძინებას, იმ რელიგიისას, რომელსაც უკვე ქრისტეს აქეთ IV საუკუნის პირველ ნახევარში ეზიარნენ ჩვენი წინაპრები და რომლის ბურჯს, ავანპოსტს წარმოადგენდა საქართველო საუკუნეების მანძილზე. სახელმწიფოებრიობის ტრადიციული ფორმის აღდგენა საქართველოს საშუალებას მისცემს აღადგინოს აღმოსავლურ და დასავლურ ცივილიზაციათა შუამავლის ტრადიციული ფუნქცია, საქართველოს შეიძლება აგრეთვე შეასრულოს კავკასიის რეგიონის შემაკავშირებლის როლი, რომელსაც იგი ყოველთვის ასრულებდა გეოგრაფიულად და ისტორიულად. ჩვენი აზრით, მონარქიის აღდგენა უთუოდ გაანელებს შიდაეთნიკურ დაძაბულობასაც, რისი საწინდარიც ისევ და ისევ ისტორიული გამოცდილებაა. არის კიდევ ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ძალზე მწვავედ დგას და რომლის მოგვარებაც მხოლოდ მეფობის ინსტიტუტის რესტავრაციით თუ არის შესაძლებელი: ეს არის ხელისუფლების ავტორიტეტის საკითხი. საქმე ის გახლავთ, რომ უცხოელთა ორასწლოვანმა ბატონობამ, მეტადრე სამოცდაათწლიანმა ბოლშევიკურმა მმართველობამ, ხელისუფლების ინსტიტუტების სრული დისკრედიტაცია გამოიწვია ხალხში და დამოუკიდებლობის შემდეგაც ძნელი იქნება დემოკრატიას უჩვეო საზოგადოებაში ხელისუფლებისადმი პატივისცემის ატმოსფეროს შექმნა, რის გარეშეც წარმოუდგენელია სახელმწიფოს ნორმალური არსებობა და რამაც უარეს შემთხვევაში ანარქია და ქაოსი, ხოლო უკეთეს შემთხვევაში დიქტატურა შეიძლება გამოიწვიოს, მაგრამ თუ უზენაეს ხელისუფლებად ხალხს მისი გმირი მეფეების შთამომავალი მოევლინება — პოლიტიკური თუ სოციალური კონიუნქტურისაგან დამოუკიდებელი მონარქი, იგი უსათუოდ იქცევა სტაბილურობისა და ერის შეკავშირების გარანტად და ამ ფუნქციას შემდგომშიც შეასრულებს. ახლა იმის შესახებ, თუ როგორ გვესახება მომავალი საქართველო, ანუ როგორ სახელმწიფოებრივ მოდელს ვთავაზობთ ქართველ ერს. ხშირად გვეკითხებიან, თუ როგორი მოდელის კონსტიტუციური მონარქია გვინდა დამკვიდრდეს? ბრიტანული, ესპანური, შვედური, იაპონური თუ სხვა? — ჩვენ მიგვაჩნია, რომ საქართველოს ესაჭიროება წმინდა ქართული მოდელი და არა რომელიმე მონარქისტული სახელმწიფოს მოდელის გამეორება.

უწინარეს ყოვლისა, მეფის სტატუსის შესახებ: საქართველოს მეფე იქნება სახელმწიფოს მეთაური, ერის სიმბოლო, მისი უზენაესი წარმომადგენელი საერთაშორისო ურთიერთობაში, და უზენაესი არბიტრი და მომრიგებელი ქვეყნის შიგნით, შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი. ცნობილი ფორმულის თანახმად, ის მეფობს, მაგრამ არ მართავს. ქვეყნის მართვის ფუნქციას ასრულებს მთავრობა, რომელიც კომპლექტდება პარლამენტის არჩევნებში გამარჯვებული პარტიის, ან პარტიათა კოალიციის წარმომადგენელთაგან. სამინისტროები უნდა შეიქმნას ძირითადი დარგების მიხედვით (სულ 13-14) და ისინი უნდა ასრულებდნენ უფრო მაკოორდინირებელ, ვიდრე დირექტიულ როლს. ქვეყნის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკას წარმართავს მთავრობის თავმჯდომარე, ანუ საყოველთაო და პირდაპირი კენჭისყრით არჩეული პრემიერი. სახელმწიფოს უმაღლესი კანონმდებელი იქნება საყოველთაო, პირდაპირი, ფარული კენჭისყრით, მრავალპარტიულ, დემოკრატიულ საფუძველზე არჩეული ორპალატიანი პარლამენტი, ხოლო სასამართლო სრულიად დამოუკიდებელი და უშუალოდ ხალხისაგან არჩეული უნდა იყოს ყველა დონეზე. ამრიგად, მიღწეული იქნება სამი ხელისუფლების საკანონმდებლო — აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების გაყოფა. ქვეყნისა და ერის სულიერი მოძღვარი იქნება საქართველოს ეკლესიის მეთაური.

ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფას საფუძვლად უნდა დაედოს გეოგრაფიული, სამეურნეო და ეთნოგრაფიული პრინციპი, ანუ უნდა აღდგეს სწორედ ამ პრინციპების შესაბამისად ჩამოყალიბებული ისტორიული პროვინციები, იმის მსგავსად, როგორც ესპანეთში ან გერმანიაში; მათი რიცხვი 12 იქნება (ცალკე მე-13 ერთეულად გამოიყოფა სატახტო ქალაქი და მისი მიმდებარე ზონა). პროვინციებს ექნებათ სრული თვითმმართველობა, მაგრამ საკანონმდებლო უფლებების გარეშე. ასეთი დაყოფა თავიდან აგვაცილებს უკიდურეს დაქუცმაცებას (70-მდე რაიონად), რაც ამჟამად აბრკოლებს ქვეყნის მართვას, ხელს უწყობს დეცენტრალიზაციას და რეგიონების განვითარებას. იგი არც სეპარატიზმის საშიშროებას წარმოქმნის — პირიქით, განამტკიცებს ქვეყნის ერთიანობას ეროვნული თვითშეგნებისა და უმჭიდროესი ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების პირობებში.

უნდა გაიზარდოს ინტელიგენციის, როგორც ერის სულიერ ფასეულობათა შემნახველისა და მაწარმოებლის როლი. ერს უნდა ჰყავდეს თავისი ელიტა, გამორჩეული ინტელექტუალური, ზნეობრივი და პატრიოტული ნიშნით, კულტურული და საგანმანათლებლო პოლიტიკაც ამ პრიორიტეტით უნდა წარიმართოს; უნდა გაღრმავდეს კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა და ათვისება შეძლებისდაგვარად ფართო საზოგადოებრიობის მიერ, უნდა აღდგეს და დროის შესაბამისად განვითარდეს ეროვნული კულტურის — შინამრეწველობის, სპორტის დარგები და სხვა სახეობები, ყოველი ინდივიდუმი უნდა განიმსჭვალოს მარადიული ცნების შეგრძნებით და პასუხისმგებლობის გრძნობით ერის, მისი მომავლის გამო. მხოლოდ ასე შეძლებს იგი ღირსეულ მონაწილეობას თავისი ქვეყნისა და, მისი შემწეობით, კაცობრიობის უკეთესი ცხოვრების მოწყობაში. და ბოლოს, მინდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი პარტია, მისი თითოეული წევრი, ღრმად არის დარწმუნებული თავისი იდეის გამარჯვებაში, ვინაიდან ამას მოითხოვს ისტორიული სამართლიანობა, ამას მოითხოვს ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესები და რაც მთავარია, როგორც ჭვარისნები ამბობდნენ, — ასე ნებავს ღმერთს!

დიდება უფალს!

**თემურ ჟორჟოლიანი**,
**საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტიის თავმჯდომარე**

## იყო და არა იყო რა...

ქუთაისი — უძველესი კოლხეთისა და სრულიად საქართველოს ეს პირველყოფილი დედაქალაქი ყოველთვის უმთავრეს როლს თამაშობდა ქართველი ხალხის კულტურის, მეცნიერების, განათლებისა და, საერთოდ, სულიერი აღორძინების საქმეში. საბჭოთა პერიოდმა კი მას მხოლოდ პოლიტიკური კარიერის მაძიებელთა ზამბარის როლი არგუნა: თუ ვინმეს „ზევით" მოხვედრა სურდა, უთუოდ კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის კაბინეტში უნდა გაევლო, აქედან კი ყოფილი პირველები ზამბარის პრინციპით ისეთ წარმატებებს აღწევდნენ „სიმაღლეზე ხტომაში", რომ თვით უმაღლესი კლასის სპორტსმენებსაც შეშურდებოდათ. ამის გამო ყოველი ხელმძღვანელი გამვლელი სტუმრის როლში იყო, თვალი „ზევითკენ" ეჭირა და ქალაქისათვის რაიმე მამულიშვილური საქმის გაკეთებას „გულს ვერ უდებდა" ან „ვერ ასწრებდა".

ალბათ, ამიტომ იყო, რომ ოდესღაც **ინტელიგენტების** ქალაქი ლამის სულიერი სიღატაკის წუმპეში ჩაიძირა... მაგრამ...

### დრონი იცვალნენ

საქართველოში თავისუფლების დაუოკებელმა წყურვილმა გაიმარჯვა, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლამ ქვეყნის შიგნით არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული თუ სხვა მოძველებული სტრუქტურების ახლით შეცვლა გამოიწვია. რაიკომებისა და ქალაქკომების პირველი მდივნების დრო ისტორიის კუთვნილება გახდა, მათი ადგილი მსოფლიოს ცივილიზებულ ქვეყნებში ნაცადმა დემოკრატიულმა ინსტიტუტმა — პრეფექტურამ და საკრებულომ დაიკავა.

ამჯერად მკითხველის ყურადღებას სწორედ ძველთაძველი ქალაქის, ქუთაისის ახალ რჩეულთან, ბატონ **არჩილ კოსტავასთან** საუბრით მივაპყრობთ. უფრო ნათლად რომ წარმოიდგინოთ ქალაქის დღევანდელი ხელმძღვანელის წინაშე მდგომი სირთულეები და სამომავლო მიზნები, ნუ დაიზარებთ და გახდით მისი ერთი სამუშაო დღის მონაწილენი. მაშ ასე, ყველანი...

### პრეფექტის მისაღებში...

დილის 9 საათია. აქ უამრავ ხალხს მოუყრია თავი. ... აი, ბატონი არჩილიც მოვიდა და ერთმა მანდილოსანმა კაბინეტში შესვლამდე მოახერხა მისი პირად საკითხზე შეწუხება: — ვაჭრობის სამმართველო მაცივარს დამპირდა, ტალონიც მომცეს, მაგრამ ცარიელი ქაღალდი რად მინდა, მაღაზიებს, მაცივრებს ნაცნობობით ზედმეტ ფასებში ყიდიან, თუ შეგიძლიათ დამეხმარეთო.

— ასეთი ფაქტები უცხო არ არის ქუთაისელებისათვის. ერთი წელია მეც მაცივარს დავეძებ, მაგრამ ვაჭრობის სამმართველო არაფრით დამეხმარა, რადგან ჩემგან ზედმეტ თანხას ვერ აიღებდნენო, — შენიშნა თვით პრეფექტმა, მერე კი ქალბატონი დაამშვიდა, მისი მისამართი ჩაიწერა და დახმარება აღუთქვა.

— ძალიან მძიმე მემკვიდრეობა გვერგო, — მანდილოსნის გასტუმრების შემდეგ საუბარი გააგრძელა ბატონმა არჩილმა, — ქუთაისში მე ვერ ამოვაჩინე ვერც ერთი სფერო, ყველაფრის ნულიდან დაწყება რომ არ გვჭირდებოდეს.

**— და მაინც, რა მიგაჩნიათ დღესდღეობით ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად?**

დღესდღეობით, როგორც ქუთაისის პრეფექტს, მე მაწუხებს რამდენიმე გადაუდებელი ამოცანა. უპირველესად მიმაჩნია ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება. ეს, მართალია, დიდ დანახარჯებთანაა დაკავშირებული, მაგრამ მისი გადადება აღარ შეიძლება...

კაბინეტის კარი გაიღო და ბა-



ტონი არჩილი დახვეწილი თავაზიანობით ეგებება შემოსულთ: ახლადშექმნილი კომპლექსური ფირმა „ეკოს" წარმომადგენლებს — ზურაბ ამაღლობელს, ოთარ უგრეხელიძეს; ალეკო შენგელიასა და თემურ ცქიტიშვილს.

— ეს ფირმა და მისი მესვეურები ეკოლოგიურად წმინდა პროდუქციის მიღებასა და საბაზრო ფასებზე იაფად მომარაგების გარანტიას აძლევენ ქუთათურებს. მათი მიზანია, აგრეთვე, ჰიდროელექტროსადგურების წმენდა, ეთერზეთებისა და მათ მიერვე ქუთაისში მოძიებული მინერალური წყლის — როის — წარმოება, — მიხსნის პრეფექტი და თან მათი სტუმრობის მიზეზსაც მაცნობს, — დღეს პირველი პროდუქციის ლაბორატორიული ნიმუშები უნდა გავსინჯოთ: თაფლის, ვარდის, ღვინის ლიქიორი და თაფლის შამპანიური... რა თქმა უნდა, თქვენთან ერთად.

ბოთლები, ეტიკეტები და საცობები როგორები გექნებათ, რაიმე დახმარება ხომ არაა საჭიროო, — დაინტერესდა ბატონი არჩილი. ამჯერად მხოლოდ თქვენი თანადგომა და მხარდაჭერა გვჭირდება. რისი გარანტიაც უკვე გვაქვსო, იყო პასუხად.

დამშვიდობებისას პრეფექტმა წარმატებები უსურვა მათ და ბირჟის ჩამოსაყალიბებელ დამფუძნებელ შეხვედრაზე მოიწვია ყველანი. შემდეგ კი ამ საკითხს უფრო ვრცლად შეეხო ეკონომიკური და საგარეო კავშირურთიერთობათა კომისიის თავმჯდომარესთან, ბანკის მმართველ ბატონ ნუგზარ უგლავასთან საუბრისას:

— ეს იქნება მართლაც საქმიანი შეხვედრა ქარხნის დირექტორებთან, ფინანსისტებთან, ეკონომისტებთან, კოოპერატორებთან, პროკურატურის, სასამართლოსა და მილიციის თანამშრომლებთან. აგრეთვე, იმ ხალხთან, ადრე რომ საქმოსნებს ვეძახდით. ჩვენ არავის წარსულის ჩიჩქნას არ ვაპირებთ. ახლა მთავარია, ყველამ ერთად ვიხსნათ ქალაქი და მთლიანად საქართველო ეკონომიკური კატასტროფისაგან.

არსებული სიტუაციიდან, ვფიქრობ, გამოსავალი ერთია: ჩვენ უნდა ავაშენოთ ე. წ. ქართული ვარიანტი „პოსტინდუსტრიული" საზოგადოებისა. რაც ნიშნავს არა მარტო მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების გამოყენებას, არამედ ფართო კოოპერაციასაც, ანუ პერსპექტიული მიმართულების დანერგვას, რომელიც იძლევა ძალიან დიდ ეკონომიკურ ეფექტს. ქუთაისის პრეფექტურა და საკრებულო ამ მიმართულებით გარკვეულ სამუშაოებს ჩაატარებს და უახლოეს ხანში, ვფიქრობ, ქალაქის მდგომარეობა გაუმჯობესდება.

განსაკუთრებით მძიმეა ჩვენთან მოსახლეობის ბინით უზრუნველყოფის პრობლემა, რომლის გადაჭრასაც ჩვენ ისევ და ისევ სხვადასხვა ფირმებთან კავშირურთიერთობების გაძლიერებით ვფიქრობთ.

# ყველა კარს ჭკუით გაღება უნდა

## ანუ

## ქუთაისის პრეფექტის ერთი სამუშაო დღე

მართლწესრიგი — აი, კიდევ ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა — საუბარს კვლავ ბატონი არჩილი განაგრძობს, — აუცილებელია მისი განმტკიცება. პროკურატურის, სასამართლოსა და მილიციის ორგანოთა მუშაობის ახლებური წარმართვა. ჩვენ იმედი გვაქვს ახალი ხელმძღვანელობის, თუმცა აუცილებელია მოსახლეობის თანადგომა და ტექნიკური დახმარება.

პრეფექტის კაბინეტში ერთმანეთს ენაცვლებიან სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ქვის დამამუშავებელი ქარხნის დირექტორი ბეგლარ კახიძე სწორედ ქარხნის გასაჭირმა მოიყვანა პრეფექტურაში: ადრე ბლოკს ტყიბულის რაიონის კარიერებიდან ვღებულობდით. გვქონდა შესყიდვები. ბოლო სამი წელია ბლოკის მოწოდება ძალიან გართულდა. ახლა კი ტყიბულიდან საერთოდ აღარ გვაწვდიან. თვითონ რაიონშივე ნაწილდება... იქნებ დაგვეხმაროთ, სანამ საერთო სტრატეგია შემუშავდებოდეს, ნუ შეგვიწყვეტენ ბლოკის მოწოდებასო.

პრეფექტი მზადაა დახმარებისათვის და სთხოვს ბატონ ბეგლარს, მოამზადოს სათანადო წერილი ტყიბულის პრეფექტთან გასაგზავნად.

იმ დღეს არჩილ კოსტავას სასულიერო პირიც ესტუმრა საფიჩხიის ამაღლების ეკლესიიდან — მამა მალხაზი. მათი საუბარი ეკლესიისა და მისი მიდამოების რეკონსტრუქციას შეეხო. წინასწარი ვარაუდით აუცილებელია ეკლესიის უკან მდებარე ბაზრის სხვა უფრო მოსახერხებელ ადგილზე გადატანა და ეზოს გაფართოება, აგრეთვე, თვით საფიჩხიის შუაგულში ამჟამად არსებული მოძველებული მონუმენტის აღება. შეთანხმდნენ: პროექტს არქიტექტორი გივი გოგრიჭიანი წარმოადგენდა უფასოდ, პროექტის განხილვა მოხდებოდა სარწმუნოებათა საქმეთა კომისიის მიერ, მეუფე კალისტრატესა და თვით ეკლესიის მსახურთა თანდასწრებით.

პრეფექტის კაბინეტში მწერალი რეზო ჭეიშვილი შემოდის. ბატონი არჩილი გულთბილად ეგებება მას და კარგა ხანს საუბრობენ სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხთა ირგვლივ... ჟურნალ „განთიადის" წელს საცალო ნომრის ფასი არ გაუზრდია, მაგრამ ფინანსურად უკვე ძალიან გაგვიჭირდა, მომავალი წლიდან ალბათ გავზრდით ფასსო, აღნიშნა საუბარში ბატონმა რეზომ. მანვე წარმოადგინა ორი ახალგაზრდა, რომლებსაც სურდათ ქუთაისის რუსთაველის საზოგადოებასთან, „ივერთბანკის" ფილიალის გახსნა. ისინი შენობის გამოყოფას სთხოვდნენ პრეფექტს.

სხვა გზა არა გვაქვს, ჭერჭერობით ისევ ბატონი რეზო არენდის სახით თუ დაგვითმობს რამდენიმე ოთახს მწერალთა კავშირში, მერე კი, ალბათ, მის პირდაპირ მდებარე შენობას გავათავისუფლებთ და იქ გადაგიყვანთო, — დაჰპირდათ ბატონი არჩილი.

პრეფექტთან შემოსვლის მსურველები კიდევ მრავლად არიან, მაგრამ უკვე სამი საათი ხდება და ბატონ არჩილს საკრებულოში შექმნილი კულტურის, განათლებისა და მეცნიერების კომისიის სხდომაზე მიეჩქარება.

აქ მართლაც საინტერესო და მეტად მტკივნეული საკითხი იხილეს. საქმე ეხება ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ყოფნა-არყოფნას. გაჩნდა აზრი, რომ იგი გადაეცეს საეჭვო კერძო ფირმას ან შეუერთდეს დრამატულ თეატრს. კოლექტივის უმრავლესობა, მართალია, ხედავს, რომ ოპერის თეატრს დამოუკიდებელი არსებობა ძალიან გაუჭირდება (საქართველოს კულტურის სამინისტრომ ხომ რატომღაც უარი თქვა თეატრის პატრონობაზე), მაინც კატეგორიული წინააღმდეგია ორივე წინადადებისა და მზად არის ისევ თვითონ გაიჭირვოს ფინანსურად, დადოს ხელშეკრულებები სხვადასხვა კოლექტივებთან, სკოლებთან, უმაღლეს სასწავლებლებთან, ადგილებზე გამართოს წარმოდგენები, ოღონდაც თეატრი გადარჩეს;

პრეფექტმაც მხარი დაუჭირა იმ აზრს, რომ კოლექტივმა როგორმე თვითონვე გამონახოს გადარჩენის გზები... რადგანაც ქალაქს არავითარი დახმარების აღმოჩენა არ ძალუძს, იმდენად დიდ ფინანსურ დეფიციტს განიცდის.

**— ქუთაისის უძველეს კულტურულ ტრადიციებზე საუბარი, ალბათ, ძალიან შორს წაგვიყვანს. ჩვენი ქალაქი ამ მხრივ უპირველესი იყო ჯერ კიდევ ამ საუკუნის გარიჟრაჟზეც. მაგრამ შემდეგ, საბჭოთა პერიოდში იგი ინდუსტრიის მშენებელი გახდა. შედეგი ნათელია... საინტერესოა, თქვენ, უპირველესად, როგორ ქუთაისს ანიჭებთ უპირატესობას — კულტურულ თუ ინდუსტრიულ ცენტრს?**

— თქვენი შეკითხვა უფრო მარტივად რომ გავშიფროთ, ალბათ, ასე გამოითქმება: რომელია მთავარი — სული თუ კუჭი? რა თქმა უნდა, სული! ადამიანს იმდენი საცვები არ სჭირდება, რამდენიც სულიერი საზრდო. თუმცა კუჭიც აუცილებელია.

**— აქ, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, რა ელის ქუთაისის ინდუსტრიის პირმშოს, საავტომობილო ქარხანას? ხალხი რაღაცას არ ამბობს მისი მომავლის შესახებ. როგორი იქნება ქარხნის ბედი, ბატონო არჩილ?**

— უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი ეკონომიკა, კერძოდ, მე შევეხები მძიმე მრეწველობას, სპეციალურად ისეა ჩახლართული, რომ ვერ შევძლოთ ცენტრის გარეშე ცხოვრება. ამიტომ მე, როგორც ინჟინერს, პირველ ამოცანად მრეწველობის ინფრასტრუქტურის კარდინალური ცვლილებები მიმაჩნია.

საავტომობილო ქარხანა არსებობს და იარსებებს. ოღონდ ჩვენ მოგვიწევს მისი გადაიარაღება. უფრო მეტიც, მან უნდა შეასრულოს საქართველოს გადამრჩენის როლი, როგორც სასოფლო-სამეურნეო მანქანების მწარმოებელმა. სხვა დანარჩენი, ყველაფერი ჭორია. — კატეგორიული ტონით მპასუხობს პრეფექტი.

●

სიმართლე გითხრათ, სანამ პრეფექტს შევხვდებოდი საზოგადოების აზრი მაინტერესებდა. შეძლებისდაგვარად გავესაუბრე კიდეც ისეთ ადამიანებს, ვისაც ბატონ არჩილთან შორეული ნაცნობობა მაინც ჰქონია. ისინი ერთხმად მიუთითებდნენ პრეფექტის დახვეწილ ინტელექტსა და საუკეთესო პიროვნულ თვისებებზე, თუმცა ერთ ნაკლს ასახელებდნენ...

— რა, რბილი კაცი ვარ, არა? — ღიმილით მიდასტურებს მერე თვით პრეფექტიც. იცით, ჩემი სირბილე იმაში გამოიხატება, რომ ყველას — ნაცნობს თუ უცნობს მე ვღებულობ, როგორც კეთილ ადამიანს. ამიტომ, ვისაც სიკეთის ბოროტად გამოყენების უნარი აქვს, პირველ ეტაპზე მართლაც შეუძლია ჩემი მოტყუება, მაგრამ ერთხელ... ყველას რომ ეჭვის თვალით ვუყურებდე, მაშინ, ალბათ, საზოგადოების შთაბეჭდილებაც სხვაგვარი იქნებოდა. ვფიქრობ, დღესდღეობით ჩვენთვის ყველაზე მთავარი მაინც ადამიანური მიდგომის მეთოდია და მეც მას ვერ ვუღალატებ.

**— ბატონო არჩილ, ახალმა დრომ ცხოვრების წესის შეცვლა ხომ არ მოგთხოვათ? ან უფრო ზუსტად... როგორ იცხოვრეთ დღემდე?**

— სკოლაში, ინსტიტუტში, ასპირანტურაში და შემდეგ მეცნიერული მოღვაწეობისას ჩემი ცხოვრების პრინციპი ყოველთვის ერთი იყო: გულგრილად არაფერი გამეკეთებინა. საერთოდ, საქმისადმი თავგადადებული მიდგომა მჩვევია, რის გამოც ჩემი წარსულით სინდისის ქენჯნა არასოდეს მიგრძვნია. ცხოვრების წესის შეცვლა ნამდვილად არ დამჭირვებია, დღესდღეობითაც ასე ვცდილობ, შედეგს კი საზოგადოება შეაფასებს.

**— ბატონო არჩილ, თქვენ ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი და პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორიც ბრძანდებით. თქვენგანვე ვიცი, რომ უპირველესად, მკვლევარად და პედაგოგად მიიჩნევთ საკუთარ თავს. ხომ არ შეგიშლით ხელს პრეფექტის მძიმე ტვირთი მეცნიერულ მოღვაწეობაში?**

— რა თქმა უნდა, ხელს შემიშლის. ფაქტია, რომ მე დავაკლდი კოლეგებს, ჩემს ასპირანტებს და ისინიც საოცრად დამაკლდნენ მე. მაგრამ მოგეხსენებათ, ადამიანის ცხოვრებაში ზოგჯერ წინ წამოიწევს ხოლმე რაღაც მთავარი ამოცანა, რომელიც ძირითადი საქმიანობისაგან მოგწყვეტს. გარკვეულ ეტაპზე ეს, ალბათ, ასეა საჭირო. პოეტის თქმისა არ იყოს — „მამულს გული უპირველეს ყოვლისა!" ჩვენზე ხალხი დღეს დიდ იმედებს ამყარებს და ღმერთმა ნუ ქნას, რომ ეს იმედები გავუცრუოთ.

...სწორედ ამ დროს პრეფექტის კაბინეტში კვლავ შემოვიდნენ მიღების მსურველები: საქართველოს დამოუკიდებელ ჟურნალისტთა კავშირის ქუთაისის რეგიონალური ორგანიზაციის მდივანი გივი მეფისაშვილი და საქტელერადიოდეპარტამენტის ქუთაისის რადიომაუწყებლობის კორესპონდენტი მამუკა ჭონიშვილი. ისინი ქალაქის ახალგაზრდობის სახელით საინტერესო წინადადებას სთავაზობდნენ პრეფექტს. კერძოდ, ისაუბრეს კინოთეატრ „გამარჯვების" ტერიტორიაზე ახალგაზრდობის უნივერსალური სასახლის, ურეგლამენტო შეხვედრების კლუბის აგების თაობაზე.

ბატონმა არჩილ კოსტავამ მხარდაჭერა და დახმარება აღუთქვა მათ.

და მე კვლავ მიჩნდება ასეთი შეკითხვა:

**— ბატონო არჩილ, თქვენ ახალგაზრდებთან ახლო ურთიერთობები გაკავშირებთ, მათ საუკეთესო აღმზრდელად და მეგობრად გიცნობენ. რას უსურვებდით ახლანდელ თაობას?**

— ახალგაზრდობისადმი ჩემი უპირველესი სურვილი იქნება, რომ ისწავლონ არა უბრალოდ შრომა, არამედ შრომა რუდუნებით. ეს კარგი ქართული სიტყვა გულითადობას და საქმისადმი თავდადებას ნიშნავს. ნუ გაგვიტაცებს ილუზია იმისა, რომ ახალგაზრდებისათვის ყველა კარი ღიაა... **არა, ბატონებო, ყველა კარი დაკეტილია და მას მხოლოდ ჭკუით უნდა გაღება!** — გვაფრთხილებს ბატონი არჩილი.

P. S. წერილი უკვე მომზადებული მქონდა, საქართველოში სტიქიური უბედურება რომ დატრიალდა. 20 წამში თავზე დაგვენგრა კოპწია იმერეთი და ულამაზესი რაჭა... ქუთაისის პრეფექტი, ბუნებრივია, მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო მოვლენათა ცენტრში მოექცა. კიდევ ერთი უმთავრესი და უპირველესი ამოცანა დადგა დღის წესრიგში... ქუთაისში მოქმედი საგანგებო შტაბი ბატონ არჩილ კოსტავას თაოსნობით უპირველეს მზრუნველად და მფარველად მოევლინა ბუნებისაგან განწირულ თანამოძმეებს.

...ამიტომაც ემაყებათ და ეიმედებათ ქუთათურებს თავიანთი რჩეული...

**ბულიჩა ბუბელაძე,**
**თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი.**

**ჰონორარი გადაირიცხოს მიწისძვრით დაზარალებულთა დახმარების ფონდში.**

---

# დათო კვიტაიშვილის ხსოვნას



**რატომ მომინდა დათოზე წერა? იქნებ იმიტომ, რომ ვინმეს გავაცნო. არა, დათოს საკმაოდ იცნობენ. იცნობენ მის პოეზიას, თარგმანებსაც, იციან მისი ინტერვიუებიც. იქნებ იმიტომ, ვინმეს უკეთესი მოვაჩვენო? დათოს არც ეს სჭირდება. ალბათ, იმიტომ, რომ მინდა, მისი სიახლოვე ვიგრძნო, ალბათ, იმიტომ, რომ მსიამოვნებს მასზე წერა.**
**პირველი შეხვედრის შემდეგ დათოზე გულჩათხრობილი კაცის შთაბეჭდილება დამრჩა. შემდეგ გავიდა წლები, დავახლოვდით და დავინახე, რომ თურმე პირველი შთაბეჭდილება მცდარი ყოფილა. გულჩათხრობილი კი არა, მარტოსული იყო. იმიტომ, რომ ჩვენზე მაღლა იდგა, არ გვესმოდა მისი.**
**ბევრს დააკლდა დათო. პირადად მე სიცოცხლის ძალას მმატებდა, მეიმედებოდა. მე მგონი, დათო იყო ის პიროვნება, ბატონი ჰაბუა ამირეჯიბი რომ წერს: „კაცური კაცის სიცოცხლე ის არის, რომ უნდა იწვოდეს კვარივით, სანთელივით, კოცონივით, მზესავით — როგორც ხვედრსაც გარგუნებს ბუნება, ისე. იმაზეც უნდა იფიქრო, შენ რომ ჩაქრები, წყვდიადმა არ დაისადგუროს ირგვლივ, ან შენ რომ ხარ, მაგ ერთ ფოთრა ადგილზე მაინც, სანამდე ანთიხარ, ისე უნდა ენთო, რომ სხვაც აანთოს შენმა სიცოცხლემ".**
**დღეს გამოქვეყნებული დათოს ორი ლექსიც, ვფიქრობთ, ასახავს მის ხასიათს, განწყობას.**

**აჩიკო რაზმაძე**

## ის სიკეთისათვის იყო დაბადებული

### თავისუფლება

თავისუფლება ოდეს შეიცან,
სუყველაფერი შენში შეიძრა.

შენ გაარღვიე ჯებირები, ახლა სრულებით
დალოცვილი ხარ სამუდამო თავისუფლებით.
ოთხ კედელს შორის გამომწყვდეულიც,
თუ გაიაზრებ, ხარ გიჟივით თავისუფალი.

აბობოქრებულ სულს დაამშვიდებ?
ვერა და ვერა...
თავისუფლებავ, სანუკვარო,
ჩვენ
შენი
გვჭერა.

1986

### რით ვერ მოვიკალ...

კვლავ სიყვარულის მახრჩობს წყურვილი,
რით ვერ მოვიკალ, რით ვერ დავიცხრე,
შემეშველება ძველი სურვილი,
მსურს გავარღვიო ვიწრო შავი წრე.

რით ვერ მოვიკალ, რით ვერ დავიცხრე,
ანდა მიზეზი რად ვერ შევიტყვე,
რით ვერ მოვთოკე სულის წყურვილი,
რად არ მეწვია ერთი ლაღი დღე.

რად არ დაცხრება ახალგაზრდობა,
რად არ დაცხრება დაუსაბამო,
ახლა გვიანი არი განდობა,
დაღლილ ქალივით წვება საღამო.

თუმცა ჯვარს მაცვეს, მიათკეცდება —
სულის, სხეულის, გულის სიმტკიცე,
გავარვარებულ რკინად ქცეული
ჯერ არდალაშქრულ მთებზე მივიწევ.

1989

---

# რუსეთ-საქართველოს სამშვიდობო ხელშეკრულება

**71 წლის** წინათ — 1920 წლის 7 მაისს საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის საზავო ხელშეკრულება დაიდო. საზოგადოებრიობის ინტერესი ამ ისტორიული ფაქტის მიმართ ბოლო პერიოდში უაღრესად გაიზარდა. ჩვენი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე გამოქვეყნდა ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მემუარული და მიმოხილვითი ხასიათის პუბლიკაციები, სხვა დოკუმენტები, მაგრამ ჯერ კიდევ ყველაფერი ნათელი და გარკვეული როდია. წინამდებარე წერილი 7 მაისის ხელშეკრულების ისტორიასა და სამართლებრივ ასპექტებზე მოგვითხრობს.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას რუსეთის საბჭოთა ხელისუფლება უკმაყოფილოდ შეხვდა, მაგრამ წყენა ოფიციალურად არ გამოუხატავს. რთული შინაფითარება (სამოქალაქო ომი, უცხოეთის ინტერვენცია) მოსკოვს ხელ-ფეხს უბორკავდა საქართველოში აქტიური მოქმედებისათვის, ამიტომ კვლავ ძალაში რჩებოდა კავკასიის საგანგებო კომისრად დანიშნულ ს. შაუმიანისათვის 1918 წ. 24 მაისს ლენინის მიერ მიცემული ინსტრუქცია: „გირჩევთ სცადოთ ბლოკი ჟორდანიასთან. თუ შეუძლებელია, საჭიროა ლავირება და გადაწყვეტილების **გაჭიანურება**, სანამ არ განმტკიცდებით სამხედრო თვალსაზრისით" (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 41, გვ. 57). რუსეთს საქართველო თავისად მიაჩნდა, ამიტომ „გადაწყვეტილების გაჭიანურება და ლავირება" უმოქმედობას როდი ნიშნავდა, პირიქით, ამგვარი ფორმულირება მოქმედების თავისუფლებისა და არჩევანის შესაძლებლობას იძლეოდა. არჩევანი კი მხოლოდ ორგვარი შეიძლებოდა ყოფილიყო: 1) საქართველოს გასაბჭოება და შემოერთება ძალით და 2) საქართველოს გასაბჭოება და შემოერთება მშვიდობიანი გზით. ცენტრში საგანგებოდ შემუშავებულ ორივე ამ ვარიანტს ერთი ავტორი (რეჟისორი) ჰყავდა, შერჩეული იყვნენ მოქმედი პირნი და შემსრულებლებიც, და ახლა დრო და ვითარება წარმოაჩენდა რომელ მათგანს მიენიჭებოდა უპირატესობა, რომელი უფრო ხელსაყრელი და მომგებიანი იქნებოდა.

შექმნილი ვითარება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურებსაც უბიძგებდა რუსეთთან დაახლოების გზების ძიებისაკენ. თავის მოგონებებში ნ. ჟორდანია წერს: „ევროპიდან არაფერი სანუგეშო მოგვდიოდა. ვერსალის კონფერენცია გათავდა, ჩვენ კი დავრჩით უცნობი... ცხადი გახდა საქმის ისევ რუსეთიდან დაწყების აუცილებლობა. ვიფიქრე, თუ მოსკოვმა გვიცნო, ჩვენი დამოუკიდებლობა დაადასტურა, ამ თამასუქით წარსდგებით ევროპის არეოპაგის წინაშე და ეს უეჭველად გასჭრის. გადავწყვიტე... მოსკოვში კაცის გაგზავნა" (ნ. ჟორდანია, ჩემი წარსული, 1953 წ., პარიზი, გვ. 163-164).

სწორედ ამ დროს თბილისის ციხეში იჯდა ცნობილი რევოლუციონერი, ბოლშევიკი ა. კობახიძე-მირსკი. იგი ერთ-ერთი იყო იმ მრავალრიცხოვან აგენტთაგან, რომლებსაც მოსკოვი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად გზავნიდა. როცა კობახიძე საქართველოში შეიარაღებული აჯანყების გამარჯვების უსაფუძვლობაში დარწმუნდა, გადაწყვიტა ეცადა მეორე ვარიანტი — მიზნის მიღწევის მშვიდობიანი გზა. იგი დაუკავშირდა საქართველოს მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრს ე. გეგეჭკორს, რომელიც ბიძად ერგებოდა და საბჭოთა რუსეთთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადებაში თანადგომა შესთავაზა. კონკრეტულ მომენტში რუსეთისა და საქართველოს ხელისუფალთა ინტერესი ერთმანეთს დაემთხვა. საქმის მოგვარებას სასიკეთო პირი უჩანდა. ნ. ჟორდანიამ აღარ დააყოვნა და და მოსკოვთან მოსალაპარაკებლად საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი გ. ურატაძე გაგზავნა. მასთან ერთად გაემგზავრნენ საქართველოს სახალხო გვარდიის შტაბის წევრი დ. [illegible] და ა. კობახიძე (ეს ის კობახიძეა, რომელსაც 1922 წლის შემოდგომაზე, თბილისში ყოფნისას, ს. ორჯონიკიძემ სილა გააწნა. ეს ფაქტი გახმაურდა და ლენინის ყურამდეც მიაღწია. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სერგომ კობახიძეზე წყენა ჯერ კიდევ რუსეთთან ხელშეკრულების გამო ჩაიდო გულში).

1920 წ. 15 აპრილს დელეგაცია როსტოვში ჩავიდა. „ეს ესაა როსტოვს ჩამოვიდა ლონჟიუმოს პარტიული სკოლის ყოფილი მოწაფე.., მენშევიკი გრიშა ურატაძე... მისთვის გეგეჭკორს კარტ-ბლანში მიუცია. სურს გამოემგზავროს მოსკოვში თქვენთან. ვფიქრობ არაფრის მაქნისია ეს", — აცნობა ორჯონიკიძემ ლენინს. ლენინმა ორჯონიკიძეს შეატყობინა: მთავრობა ურატაძის მოსკოვში ჩამოსვლის წინააღმდეგი არ არის, მაგრამ მის გამომგზავრებას ნუ იჩქარებთ და გამომგზავრების დღე თქვენი შეხედულებისამებრ დანიშნეთო (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 51, გვ. 178, რუსულ ენაზე).

„ურატაძეს გამოვგზავნი როსტოვიდან, მაგრამ გთხოვთ ზავის დადების მხრივ მასთან ნუ აჩქარდებით, გამოირკვა, რომ საქართველო მზად არის გაყიდოს აზერბაიჯანი", — უპასუხა სერგომ ლენინს (ა. ირემაძე, „ილიჩი მშვიდობიანი გზის მომხრეა", „ლიტერატურნაია გრუზია", 1967, № 4, გვ. 6). 1919 წლიდან აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის არსებობდა სამხედრო კავშირი, რაც იმას ნიშნავდა, რომ მტრის წინააღმდეგ ორივე სახელმწიფოს ერთობლივად უნდა ებრძოლა. როგორც ჩანს, ორჯონიკიძემ იცოდა ნ. ჟორდანიას განწყობილება — „თუ აზერბაიჯანი გარეშე ძალას შეხვდა უბრძოლველად, ჩვენ არ გვაქვს უფლება შევებრძოლოთ მას, ვინც აზერბაიჯანმა მიიღო".

ეს ის პერიოდია, როდესაც მოსკოვი ამზადებს „ბაქოს ოპერაციას". პარალელურად მიმდინარეობს სამზადისი საქართველოს საკითხის გადასაწყვეტი ზემოაღნიშნული ორივე ვარიანტის ხორცშესასხმელად. მაგრამ საქართველოში შემოსვლამდე საჭიროა აზერბაიჯანის გასაბჭოება. ახლა მთელი ყურადღება ბაქოზეა გადატანილი. „ბაქოს აღება ჩვენთვის უაღრესად, უაღრესად საჭიროა. მთელი ღონისძიებანი აქეთ წარმართეთ", — ავალებს ლენინი ორჯონიკიძეს (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 35, გვ. 470). აზერბაიჯანში ფეხის მტკიცედ მოკიდების შემდეგ საქართველოს გაწითლება შედარებით გაადვილდება, ამიტომ უფრო შესაძლებელია პირველი ვარიანტი გათამაშდეს (საქართველოს გასაბჭოება სამხედრო ძალის გამოყენებით). მართალია, იმ პერიოდის დოკუმენტებში არ არის ცენტრის ამგვარი მითითება, მაგრამ თუ ყურადღებით წავიკითხავთ სტალინის დეპეშას ს. ორჯონიკიძისადმი, ამ მექანიზმს იოლად ავხსნით. 1920 წლის 3 დეკემბერს სტალინი ს. ორჯონიკიძეს წერდა: **„ჯარების შეყვანა უნდა მოხდეს ფრონტის, ან არმიის განკარგულებით და ან ფრონტის ან არმიის სახელით, მაგრამ არა მთავრობის სახელით, დაიცავი დიდი სიფრთხილე".** (ეს დოკუმენტი გამოაქვეყნა პროფ. ა. მუჯირმა, იხ. „თბილისი", 1990 წ., 24 თებერვალი. ხაზი ჩემია, — ო. ჯ.). პირველი ვარიანტი უფრო მომწიფებული ჩანს. სწორედ ამით უნდა აიხსნას ლენინის წინადადება: ურატაძის გამოგზავნას ნუ იჩქარებთო.

მალე მდგომარეობა ელვის სისწრაფით შეიცვალა: პოლონელებმა საბჭოთა ქვეყნის სიღრმეში წარმატებით შეტევა განავითარეს და კიევი დაიკავეს, ყირიმში დაბანაკებული ვრანგელი პოლონელთა მისაშველებლად დაიძრა. ამდენ ფრონტზე ერთდროულად ომის წარმოება რუსეთს არ შეეძლო, ამიტომ ცენტრმა საქართველოს საკითხის იარაღით გადაწყვეტაზე ამჯერად ხელი აიღო და ურატაძე სასწრაფოდ მოსკოვს გაიწვია.

ამასობაში (27-28 აპრილს) XI არმიამ ბაქო აიღო და აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადა. ეს იმდენად უმტკივნეულოდ მოხდა, რომ ორჯონიკიძე აღარ შეჩერებულა და წითელი არმიის ნაწილები საქართველოსკენ დაძრა, იმავდროულად მოსკოვში დეპეშები აფრინა, რამდენიმე დღეში თბილისში ვიქნები, ყველაფერი ბრწყინვალედ გამოვა. 30 აპრილს სერგომ ლენინს კიდევ ერთხელ შეახსენა „ურატაძესთან ნუ იჩქარებთ" („ლენინსკი სბორნიკ", ტ. XXXIV, გვ. 292). საპასუხოდ, 5 მაისს, ორჯონიკიძემ ლენინისა და სტალინის ხელმოწერით ასეთი დეპეშა მიიღო: „ცენტრალური კომიტეტი გავალებთ გამოიყვანოთ ნაწილები საქართველოს ფარგლებიდან საზღვარზე და თავი შეიკავოთ საქართველოზე შეტევისაგან. თბილისთან მოლაპარაკების შემდეგ ცხადია, რომ საქართველოსთან ზავი გამორიცხული არ არის" (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 35, გვ. 474).

ზავი ნამდვილად არ იყო გამორიცხული, რადგან საქართველოს მხარე თანახმა იყო რიგ დათმობებზე, თუ მოსკოვი აღიარებდა საქართველოს დამოუკიდებლობას და საზღვრებს (ნ. ჟორდანია, დასახ. წიგნი, გვ. 165).

მოლაპარაკება 28 აპრილს დაიწყო („კომუნისტი", 1989 წ. 8 ივნისი). მას ოფიციალურად აწარმოებდნენ გ. ურატაძე და ლ. კარახანი, რომლებსაც თავიანთი მთავრობებისგან სათანადო რწმუნებები ჰქონდათ მინიჭებული. გ. ურატაძეს, ე. გეგეჭკორის კარტ-ბლანში გააჩნდა, ხოლო ლ. კარახანის რწმუნებულებას ხელს აწერდნენ ვ. ლენინი და გ. ჩიჩერინი.

გ. ურატაძე არ ყოფილა პროფესიონალი დიპლომატი. მისი შერჩევა მოსკოვთან მოლაპარაკებისათვის, ნ. ჟორდანიას სიტყვით, იმან განაპირობა, რომ „დესპანი უნდა ყოფილიყო ლენინის და მისი შტაბის ნაცნობი, სოციალ-დემოკრატი, პარტიის ყრილობაზე ნამყოფი". ცხადია, ამგვარ „სპეციალისტს" გაუჭირდებოდა დიპლომატიის რთულ ლაბირინთებში გარკვევა, მით უფრო, რომ მეორე მხრიდან მოლაპარაკებაში, ფაქტობრივად რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მთელი პოლიტბიურო მონაწილეობდა. საარქივო დოკუმენტები მოწმობენ, რომ პოლიტბიუროს წევრები დეტალურად იხილავდნენ მოლაპარაკების მსვლელობისას წამოჭრილ ცალკეულ საკითხებს და შესაბამის მითითებებს აძლევდნენ ლ. კარახანს.

მიუხედავად ზემოთქმულისა, სწორი არ იქნება მთელი პასუხისმგებლობა 7 მაისის ხელშეკრულების ავ-კარგისათვის მხოლოდ გ. ურატაძეს დავაკისროთ. ცნობილია, რომ მან მოლაპარაკების შინაარსი და შეთანხმების პროექტის ტექსტი მოსკოვიდან გააცნო ნ. ჟორდანიას, რომლისგანაც მიიღო ხელისმოწერის თანხმობა.

გ. ურატაძე იგონებს, რომ „ხელშეკრულების ტექსტის შედგენა ადვილად მოხერხდა. არც საზღვრების საკითხს გამოუწვევია დიდი დავა". ეს არ უნდა იყოს გასაკვირი. რუსეთი ცდილობს სწრაფად დაასრულოს მოლაპარაკება საქართველოსთან, რადგან მდგომარეობა ისეთია, შეიძლება ყველაფერი დიამეტრულად შეიცვალოს. ამიტომ უხსნიდნენ ი. სტალინი და ე. ენუქიძე ტელეფონით საუბრისას ს. ორჯონიკიძეს:

„...ჩვენი ნაწილებისა და აგრეთვე აზერბაიჯანის ნაწილების ზოგიერთი გამოსვლა რომ არ გვირევდეს კარტს და არ გვიშლიდეს ჩვენი პოლიტიკის გატარებას, ხელშეკრულება უკვე ხელმოწერილი იქნებოდა... როგორც ჩვენი, ისე აზერბაიჯანის ნაწილების მხრივ საქართველოს წინააღმდეგ შეტევითი მოქმედება არ იქნება და ჩვენ ხვალვე დავდებთ ხელშეკრულებას საქართველოსთან" (ა. ირემაძე, „განთიადის სათავეებთან", თბ., 1984, წ., გვ. 237).

ს. ორჯონიკიძე დამორჩილდა. ან კი რა უნდა ექნა, როცა საქართველოს ჯარმა გენერალ გ. კვინიტაძის სარდლობით დაამარცხა და უკუაქცია ჩვენს საზღვრებში შემოჭრილი წითელი არმიის ნაწილები.

ორჯონიკიძე და კიროვი შეეცადნენ დაერწმუნებინათ ლენინი შეეტანა ხელშეკრულებაში მუხლი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების მოთხოვნით. შექმნილ ვითარებაში ეს დიდი რისკი იყო. ამიტომ ცენტრმა ამაზე უარი თქვა. სტალინმა კი ასე დაამშვიდა ორჯონიკიძე: „ვითარება ისეთია, რომ... ახლა საქართველოს მიმართ აჩქარების — მისი საბჭოურად გარდაქმნის აზრით — მომხრე ჩვენ არა ვართ. სულ ერთია, რამდენიმე თვის შემდეგ, თუ კომუნისტები ლეგალიზებული იქნებიან, იგი (საქართველო, — ო. ჯ.) ისედაც საბჭოთა რესპუბლიკა გახდება, მას სხვა გზა არა აქვს" (იქვე, გვ. 239).

7 მაისს გ. ურატაძემ და ლ. კარახანმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომელიც რატიფიკაციის გარეშე, „თვით ფაქტის ძალით" შედიოდა ძალაში. ხელშეკრულებით რუსეთმა უარი თქვა საქართველოს მიმართ ოდინდელ უფლებებზე და ყოველი პირობის გარეშე ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება.

ხელშეკრულების საფუძველზე რუსეთსა და საქართველოს, როგორც თანასწორუფლებიან და სუვერენულ სახელმწიფოებს შორის, ახალი სამართლებრივი ურთიერთობანი დამყარდა.

7 მაისის ხელშეკრულება რეალურად შევიდა ძალაში. გაიცვალა სახელმწიფოთა სრულუფლებიანი წარმომადგენლობები, საქართველომ განახორციელა ნაკისრი ვალდებულებანი (კომუნისტური ორგანიზაციების ლეგალიზაცია, უღელტეხილების ნეიტრალიზაცია და სხვ.). აღსანიშნავია ისიც, რომ ამ მოქმედი ხელშეკრულების საფუძველზე 1920 წლის 14 ნოემბერს თბილისში დაიდო. სავაჭრო-სატრანზიტო შეთანხმება რსფსრ-ს აზერბაიჯანის სსრ და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის, რომლითაც მხარეებმა ერთმანეთს თავისუფალი ტრანზიტის უფლება მიანიჭეს.

ახლა დავსვათ კითხვა: არის თუ არა 7 მაისის ხელშეკრულება საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტი? [illegible] იმისათვის, რომ ამ კითხვაზე დადებითად ვუპასუხოთ.

დავიწყოთ იმით, რომ 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს შეთანხმება არის საერთაშორისო პოლიტიკური ხელშეკრულება, რომელიც ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის „მტკიცე და მშვიდობიანი ურთიერთობის" დამყარების მიზნით დაიდო. საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ამგვარი ხელშეკრულების დადება მხოლოდ სუვერენულ და თავისუფალ სახელმწიფოებს შეუძლიათ, რადგან დამოკიდებულ ან ვისიმე პროტექტორატის ქვეშ მყოფ ქვეყანას არა აქვს პოლიტიკური ხელშეკრულების დადების უფლება.

ხელშეკრულების დადების მომენტში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მართალია, მსოფლიოს დიდი სახელმწიფოების მიერ არ იყო ცნობილი, მაგრამ თითქმის ასეთსავე მდგომარეობაში იმყოფებოდა საბჭოთა ხელისუფლებაც რუსეთში. თავისთავად ეს გარემოება საქმეს არა ცვლის, — დე ფაქტოდ აღიარებული ქვეყნების მთავრობებს შეუძლიათ სხვა ქვეყნებთან ხელშეკრულების დადება, რამდენადაც ისინი ნამდვილად ფლობენ ხელისუფლებას.

ამ მხრივ პრობლემა არ არსებობს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა დამტკიცებული იყო ხალხის ნების გამომხატველი, მრავალპარტიული სისტემით, დემოკრატიულ საფუძველზე არჩეული დამფუძნებელი კრების მიერ.

საერთაშორისო ხელშეკრულებები თავიანთი ხასიათით სხვადასხვანაირი შეიძლება იყოს — მაგალითად: ტრაქტატი, კონვენცია, პაქტი, დეკლარაცია, კომუნიკე და სხვ. საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმებით, ხელშეკრულების დამდები მხარეები თავადვე არჩევენ შეთანხმების სახელწოდებას, რომელიც მისივე შინაარსითაა განპირობებული. რუსეთ-საქართველოს შეთანხმება ორმხრივი სამშვიდობო ხელშეკრულებაა. ასეთი ხელშეკრულება, ჩვეულებრივ, წერილობით ფორმდება ორივე კონტრაჰენტის ენაზე.

როგორც ცნობილია, 7 მაისის ხელშეკრულება მხოლოდ ერთ — რუსულ ენაზეა შედგენილი, მაგრამ ამით საერთაშორისო სამართლის ნორმა არ დარღვეულა, რადგან საერთო წესით დადგენილი არ არის ხელშეკრულების სავალდებულო ენა, ზოგჯერ მხარეები ამჯობინებენ შეარჩიონ ერთ-ერთი ენა.

ამდენად, 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება, როგორც ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოს შორის დადებული საზავო შეთანხმება, არის საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტი.

ამ ხელშეკრულების საერთაშორისო-სამართლებრივ [illegible] სხვა ფაქტორიც განაპირობებს, სახელდობრ, მისი პრომულგაცია. საერთაშორისო ხელშეკრულებები ხელმომწერ მხარეთა მიერ, როგორც წესი, ქვეყნდება ოფიციალურ სამთავრობო გამოცემებში, პერიოდულ პრესაში, კრებულებში და სხვა.

7 მაისის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა. იგი ორივე სახელმწიფოს მიერ გამოქვეყნებულია თავიანთ ოფიციალურ გამოცემებში. კერძოდ, 1920 წლის 9 მაისს ხელშეკრულების ტექსტი (დამატებების გარეშე, დამატებითი მუხლები ხელმოწერილია 12 მაისს) გამოქვეყნდა „იზვესტიაში" (№ 99), იმავე წლის ივლისში ხელშეკრულება სრულად დაიბეჭდა რსფსრ სამთავრობო კრებულში «Собрание узаконений и распоряжений рабочего и крестьянского правительства». (1920 წ., 9 ივლისი, № 64; ამავე კრებულშია გამოქვეყნებული საბჭოთა რუსეთის 1920 წლის სამშვიდობო ხელშეკრულებები ესტონეთთან, ლატვიასთან, ლიტვასთან, პოლონეთთან).

1920 წლის ივნისში ხელშეკრულება საქართველოშიც გამოქვეყნდა: 6-8 ივნისს იგი დაიბეჭდა გაზეთ „ერთობაში" (№ 125, 126), ხოლო 8 ივნისს მთავრობის ოფიციალურ ორგანოში „საქართველოს რესპუბლიკა" (№ 125).

7 მაისის ხელშეკრულება გამოქვეყნებულია ფრანგულ ენაზეც. 1924 წელს იგი დაიბეჭდა პარიზში, 1926 წელს კი ჟენევაში — ედგარ მილის ნაშრომში „საქართველო, რუსეთი და ერთა ლიგა" („კომუნისტი", 1989 წ., 17 აგვისტო).

ხელშეკრულების ავთენტიკურობის დასადგენად და იურიდიული ძალის მისანიჭებლად, ჩვეულებრივ, ხდება მისი რატიფიკაცია, მაგრამ საერთაშორისო სამართალი იცნობს ისეთ ხელშეკრულებებსაც, რომელთა ტექსტშივეა მითითებული — „ძალაში შედის რატიფიკაციის გარეშე" (მაგ. 1840 წლის ლონდონის კონვენცია თურქეთისათვის დაუყოვნებლივ დახმარების თაობაზე. ეგვიპტის აჯანყებული ფაშის წინააღმდეგ). ასევე არ საჭიროებდა რატიფიკაციას 7 მაისის ხელშეკრულებაც, რადგან იგი „თვით ფაქტის ძალით" შევიდა კანონიერ მოქმედებაში. მიუხედავად ამისა, 1920 წლის 11 მაისს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ იმსჯელა და მოიწონა იგი, რაც ხელშეკრულების კონფირმაციად შეიძლება ჩაითვალოს.

საერთაშორისო სამართალი აღიარებს, რომ ხელშეკრულება, თუ მისი მოქმედების ვადა განსაზღვრული არ არის, მუდმივად მიიჩნევა. მაგრამ ხდება ხელშეკრულების შეწყვეტაც მისი დენონსაციის ან ანულირების გზით. 7 მაისის ხელშეკრულებაში მინიშნებული არ არის მისი ხანგრძლივობის ვადა, ამდენად იგი უვადო ხელშეკრულებად უნდა მივიჩნიოთ. არ მომხდარა ამ ხელშეკრულების არც დენონსაცია და არც ანულირება.

საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი — Pacta sunt servanda (ხელშეკრულებანი უნდა სრულდებოდეს) — ავალდებულებს სახელმწიფოებს შეასრულონ ხელშეკრულებით ნებაყოფლობით ნაკისრი ვალდებულებანი. ეს უძველესი პრინციპი აღიარებულია გაერო-ს წესდებით და ვენის 1968-69 წ. წ. კონვენციით, რომლებზეც სსრ კავშირს ხელი აქვს მოწერილი. ამ პრინციპის დარღვევა საერთაშორისო დელიქტს წარმოადგენს და პასუხისმგებლობა დამრღვევ მხარეს ეკისრება.

რუსეთმა დაივიწყა ეს პრინციპი, 1921 წლის თებერვალში ცალმხრივად დაარღვია საქართველოსთან დადებული საერთაშორისო ხელშეკრულება, შემოიჭრა სუვერენული საქართველოს ფარგლებში და მოახდინა მისი ოკუპაცია. თითქმის 9 თვის მოქმედების შემდეგ უხეშად შეწყდა 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება, რისთვისაც პასუხისმგებლობა მხოლოდ საბჭოთა რუსეთს უნდა დაეკისროს.

საქართველოს აქვს უფლება დასვას 7 მაისის ხელშეკრულების აღდგენის საკითხი.

**ოთარ ჯანელიძე,**
**ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.**

# „ეჰ! ამერიკა, ამერიკა...“

## (კანადა—ამერიკის შთაბეჭდილებები)

„კოვბოის“ მუზეუმიდან გზას სან-ფრანცისკომდე ორი საათი მოვუნდით. გზაზე ხშირად შეხვდებით სხვადასხვა სიდიდისა და მარკის სასოფლო სამეურნეო ტექნიკას: ამწეებს, ტრაქტორებს, სასხლავებს, სარწყავებს და სხვა ტექნიკურ საშუალებებს; სატვირთო მანქანებს, მსუბუქ მანქანებს, მისაბმელებს და სხვა. ამ „მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს“ ასეთი წარწერა აქვს: „დამიქირავე“. თქვენ შეგიძლიათ ეს ტექნიკა დაიქირაოთ (საკმაოდ იაფად), გამოიყენოთ და დააბრუნოთ, ხოლო რაც შეეხება სატვირთო და მსუბუქ მანქანებს, შეგიძლიათ ისინი დაიქირაოთ მძღოლის გარეშე და წაიყვანოთ ნებისმიერ ქალაქში, გამოიყენოთ და იქვე დაუტოვოთ სპეციალურ ფირმას, მძღოლის გარეშე. მანქანის დაქირავება გაცილებით იაფი ჯდება.

ლოს-ანჯელესში დღის 3 საათზე ჩავედით. იგი სიდიდით აშშ-ის მესამე ქალაქია, ნიუ-იორკისა და ჩიკაგოს შემდეგ (რვა მილიონიანი მოსახლეობით გარეუბნებიანად).

ლოს-ანჯელესში ათასი ჯურის ადამიანი ცხოვრობს. აქ ნახავთ ჩინურ კვარტალს, კორეულს, მექსიკურს, არაბულს, იტალიურს, სომხურს (600 000 კაცი) და სხვა. როგორც ამერიკის სხვა დიდ ქალაქებში, აქაც ცენტრს გარდა ყველგან დაბალსართულიანი სახლებია. ცენტრში თავმოყრილია ცათამბჯენები, სადაც ქალაქის ფინანსური ცენტრებია განლაგებული. ერთ-ერთი ასეთი ცათამბჯენის (50-ზე მეტი სართულით) პირველ სართულებში საკონცერტო დარბაზია (დიდ ქალაქებში ესეც ჩვეულებრივი ამბავია). იგი აუშენებიათ 1931 წელს. ჩვენი კონცერტების მიმართ აჟიოტაჟი დიდია. საკონცერტო დარბაზის შესასვლელში დიდი რეკლამაა, რომელიც გვამცნობს, რომ აქ ანსამბლი „რუსთავი“ კონცერტებს გამართავს 18 მარტამდე. ჩვენი სასტუმრო, საკონცერტო დარბაზიდან 200-იოდე მეტრის დაშორებით მდებარეობს, ამიტომ კონცერტებზე ფეხით ვივლით.

პირველ კონცერტს დაესწრნენ სან-ფრანცისკოს პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები, ქალაქის მუნიციპალიტეტისა და სხვა ოფიციალური ორგანიზაციების წარმომადგენლები, დაესწრო ქალაქის რჩეული საზოგადოება.

კონცერტი დიდი წარმატებით ჩატარდა. ფინალი როგორც სხვაგან, აქაც რამდენჯერმე განმეორდა, ფეხზე ამდგარი მაყურებლების ტაშის გრიალში.

რამდენიმე დღის შემდეგ ქალაქის ცენტრალური გაზეთი წერდა: „...თეატრის სცენაზე მარჯვნიდან შემოდის ანსამბლ „რუსთავის“ 20 მოცეკვავე ერთ მწკრივად, სახეები პროფილშია, ხელები ერთმანეთის მხრებზე, ხოლო ფეხები სწრაფად მოძრაობენ წინ და უკან.

როდესაც ისინი ლაგდებიან ხუთკაციან მწკრივებში და შემდეგ ქმნიან წრიულ ფორმაციებს, მოცეკვავეები ისეთნაირად მოძრაობენ, რომ არ არღვევენ ცეკვის ფორმას, მის სიმკაცრეს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ერთი გონი მართავს ერთ სხეულს.

გასვლისას კი მოცეკვავეების თავები და ტანი აბსოლუტურად უძრავია, მაშინ, როდესაც ისინი ერთდროულად აკეთებენ ნახტომებს, რომლის დროსაც ჰაერს მიაპობენ.

ამ იდუმალ გურულ-აჭარულ ცეკვას, რომელსაც „ხორუმი“ ჰქვია, შესაძლებელია არა აქვს იმდენი ვირტუოზული ბრუნვები და მუხლზე დაცემები, როგორსაც „რუსთავი“ აფრქვევს „მთიულურის“ ფინალის დროს ან ხმლების ჰიდილისაგან გამოფრქვეული ნაპერწკლები როგორც „ფარიკაობაში“, მაგრამ „ხორუმი“ ამკვიდრებს უბადლო ერთიანობას, ამაში მას თითო-ოროლა ანსამბლი თუ გაუტოლდება.

„ხორუმის“ თავდაჭერილობასა და ღირსეულობაში, ყველაზე მეტად მჟღავნდება „რუსთავის“ პატივისცემა მშობლიური ფესვების კულტურული ტრადიციებისადმი. ასეთი დამოკიდებულება აღსაფრთოვანებელია განსაკუთრებით დღეს, როცა, ხშირად, ყალბ შარადებს ხალხურ შემოქმედებად ასაღებენ.

ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენთვის ცნობილი ზოგიერთი ანსამბლი ეროვნული ქორეოგრაფიის ბალეტიზირებას და ხალხურ ქორეოგრაფიას ავსებს მაქსიმალური რაოდენობის ტრიუკებით. „რუსთავი“ კი ნამდვილი, ესაა ჭეშმარიტად ფოლკლორული ანსამბლი.

„რუსთავი გრძნობს, რომ ამერიკელ მაყურებელს მოსწონს ნამდვილი ხალხური სიმღერა და ცეკვა და რომ მას იზიდავს ჭეშმარიტი ხელოვნება და არა ფსევდოხალხურ სტილში დადგმული საბალეტო დივერტისმენტებისა და ტანვარჯიშის კიდევ ერთი საღამო. ჩვენ ვიღებთ იმას, რაც გვჭირდება — ვესწრებით ქართული ვოკალური ხელოვნების „სემინარს“, რომელსაც ატარებს ანსამბლ „რუსთავის“ მამაკაცთა გუნდი. ისინი მღერიან, აკომპანიმენტის გარეშე, მღერიან შრომის სიმღერებს, პატრიოტულ ჰიმნებს, ლირიკულ ბალადებს, იუმორისტულ სიმღერებს. თითოეული მათგანი მოითხოვს განსაკუთრებულ ტექნიკას...

„რუსთავი“ პასუხობს ახალ მსოფლიო ინტერესს ანტიკური ქორალური მუსიკისადმი. იგი გვაცნობს რეგიონალურ სპეციფიკასაც. მაყურებელიც გამოხატავს თავის კმაყოფილებას ამერიკული ვოკალური ტრადიციის შესაბამისი შეძახილებით.

შესვენების შემდეგ ბევრ მაყურებელს უკვე ხელთა აქვს „რუსთავის“ კომპაქტდისკები და კასეტები. ისინი ცნობისმოყვარეობით უსმენენ უცხო ენის ყოველ სიტყვას, თუმცა თვითონ ამ ენაზე არასოდეს ილაპარაკებენ.

ინსტრუმენტული ინტერლუდიები გვაცნობენ, ხალხურ საკრავებს: სალამურს, დოლს, სიმებიან ინსტრუმენტებს. ცეკვის აკომპანიმენტი უფრო ხშირად გარმონზე სრულდება, თვით ყველაზე თავბრუდამხვევი ცეკვებიც კი ბგერათა მსუბუქი ნაკადის თანხლებით სრულდება. ქალები ისე დასრიალებენ სცენაზე, როგორც ჰაერის ბალიშებზე, ხოლო კაცები დაქრიან ფეხის წვერებზე, თითქოს ეს-ეს არის უნდა გაფრინდნენო.

ინფორმაციის ნაკადმა, რომელიც წინ უსწრებს „რუსთავის“ გამოსვლებს, არ უნდა შთანთქოს ამ ღირსშესანიშნავი ანსამბლის მიღწევები: ქორეოგრაფი ფრიდონ სულაბერიძე გვაჩვენებს ილეთებს, რომლებიც აღფრთოვანებენ კუნთოვანებით, სიმეტრიულობით და ქართველთა ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ჟესტიკულაციით. მამაკაცთა ქორეოგრაფიული ლექსიკონი უაღრესად მდიდარია და მრავალფეროვანი. მას არ სჭირდება ახსნა-განმარტებები...

ზოგჯერ ბალეტიც გვაგონდება: მაგალითად „მთიულურ სუიტაში“ ქალთა კოსტიუმები გვახსენებენ ნიჟინსკის მიერ დადგმულ „კურთხეულ გაზაფხულს“.

მთავარია, რომ „რუსთავმა“ მიაგნო ჭეშმარიტებას და ისე გამოიტანა სცენაზე, რომ მისი არსი არ დაამახინჯა... ასეთი შედეგი აღსაფრთოვანებელია“.

„ლოს ანჟელეს ტაიმსი“.

ლუის სეგალი — კრიტიკოსი.

10 მარტს დასვენების დღე გვქონდა. საღამოს 5 საათზე ანსამბლის წევრები თავიანთ ოჯახში მიგვიწვიეს ჩვენმა მეგობრებმა ჩარლიმ და ინგრიტმა. ისინი ცხოვრობენ ლოს-ანჟელესის გარეუბანში 50 კმ-ზე სან-დიეგოს მიმართულებით. ეს არის პატარა დაბა თუ სოფელი, ლამაზი ეზოებითა და სახლებით. ყველა ეზო ყვავილებშია ჩაფლული, ჭიშკართან დგას ძვირფასი მანქანები.

ჩარლის სახლი ლამაზი არქიტექტურით გამოირჩევა, იგი ორსართულიანია, გაწყობილია მაღალი გემოვნებით. იატაკზე თეთრი ფაფუკი ხალიჩებია დაფენილი, იმდენად თეთრი, რომ ზედ ფეხის დადგმა დაგენანებათ. ჩარლის მთელ სახლში აქვს გამოფენილი საქართველოდან წამოღებული სუვენირები. მისაღებში გაშლილი ჰქონდათ სუფრა, მრავალნაირი საჭმელებით და მსუბუქი საჭმელებით. იქ დავყავით თითქმის ერთი საათი, დავათვალიერეთ ჩარლის ეზო-კარი, მისი ფირფიტების და ფოტოების მდიდარი კოლექცია. ამის შემდეგ წაგვიყვანეს მახლობლად მდებარე სახლში, რომელსაც თურმე საბანკეტოდ იყენებენ. ჩარლის დაექირავებინა მზარეულები და ქართული საჭმელები დაემზადებინათ დედაჩემისაგან წაღებული რეცეპტების მიხედვით.

ჩარლიმ სუფრასთან მიგვიწვია და გამოაცხადა: „თქვენთან რომ მივდიოდეთ, ისე მე ვერ მოვახერხებ, მაგრამ მაინც შევეცდები საკადრისად გაგიმასპინძლდეთო. თქვენი წესის თანახმად, თამადა მე ვიქნები, ხოლო ჩემს მოადგილედ ანზორს ვნიშნავო“. — მან პირველად საქართველოს და მისი ტრადიციების სადღეგრძელო შესვა. ამ სადღეგრძელოს ჩვენი „მრავალჟამიერი“ მოყვა.

მერე დაილია ჩვენი ოჯახების, მანდილოსნების, მშობლების, ბავშვების, დალუპულების და კიდევ რა ვიცი რამდენი სადღეგრძელო. ჩარლი გამოტყდა, რომ მას თურმე ჩემს ოჯახში ჩაუწერია და შეუსწავლია ქართული სადღეგრძელოები (თამადად ბ-ნი რეზო თაბუკაშვილი გახლდათ).

„საერთოდ — თქვა მან, — თამადობა და ქართული სუფრა, მთელი მსოფლიოსათვის იშვიათი ფენომენია და იგი ცალკე შესწავლის საგანია, ამაზე დისერტაციები უნდა დაიწეროს“.

ჩარლიმ განსაკუთრებით შესვა ანსამბლის დირექტორ-განმკარგულებლის ალეკო ლორთქიფანიძის სადღეგრძელო. — „ეს ის კაცია, თქვა მან, — რომლის მომღიმარი სახე პირველად დავინახეთ მოსკოვში, ამდენი მოღუშული რუსების შემდეგ“ (ალეკო ამერიკელებს მოსკოვში დავახვედრეთ)

ცეკვა-სიმღერა დიდხანს გაგრძელდა.

ბოლოს ჩარლი გამოეწყო თოვლის ბაბუას ტანსაცმელში, დაჯდა სუფრის ბოლოში, ანსამბლის თითოეულ წევრს მუხლზე ისვამდა და მათთან სამახსოვრო სურათებს იღებდა.



მერე „თოვლის ბაბუამ“ სუყველას სამახსოვრო საჩუქრები დაგვირიგა. მათ შორის თბილისში გადაღებული საუცხოო ხარისხის ფოტოსურათები.

სუფრა გვიან ღამით აიშალა ჩარლი, ინგრიტი და მათი ქალიშვილი ქრისტინა, სათითაოდ გვკოცნიდა და გვემშვიდობებოდა ყველას. ეს იყო საოცრად კეთილშობილი ოჯახი, რომელმაც შესანიშნავი საღამო გაგვიმართა.

სასტუმროში აღფრთოვანებული დავბრუნდით.

მსოფლიოში სახელგანთქმული კინოსტუდია „ჰოლივუდის“ (ლოს-ანჟელესის გარეუბანში მდებარეობს) უდიდესი საკონცერტო დარბაზიდან, ამერიკის ცნობილი ტელეკომპანია „სი-ბი-ეს“-ი ყოველწლიურად აწყობს გადაცემას სახელწოდებით: „ჯილდო ხალხის მიერ არჩეულ საუკეთესო არტისტებს“. გადაცემის მიზანია, პრიზები გადასცენ გასული წლის საუკეთესო მსახიობებს, რომელსაც ხალხი დაასახელებს. ამ გადაცემის დიდი ნაწილი ეძღვნება საზოგადოებრივ აზრს გასულ წელს მსოფლიოში მომხდარი მოვლენების შესახებ.

ამ გადაცემას ყოველწლიურად აწყობს „გელოპის ინსტიტუტი“. გელოპმა დააარსა საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ინსტიტუტი. იგი აწარმოებს ყოველ წელს საზოგადოების გამოკითხვას: პოლიტიკურ, სოციალურ, მუსიკალურ, კინოს და სხვა ნებისმიერ თემაზე. გარდა ამისა, თქვენ შეგიძლიათ დაიქირაოთ ეს ინსტიტუტი რომელიც ნებისმიერ თემაზე ჩაგიტარებთ გამოკითხვას ამერიკის სხვადასხვა რეგიონის 50 000 მცხოვრებისაგან.

ეს გადაცემა მეტად პოპულარულია და მას ისმენს მსოფლიოს დიდი ნაწილი. ორი წლის წინათ „გელოპის ინსტიტუტმა“. ჩაატარა ასეთი გამოკითხვა: „საყვარელი სიმღერა“. ეს სიმღერა აღმოჩნდა ფილმიდან „დოქტორ ჟივაგო“.

ამჯერად ჩატარებული გამოკითხვის შედეგად აჯილდოებდნენ საუკეთესო ტელე და კინომსახიობებს. გამოკითხვის შედეგად გასული წლის ყველაზე საუკეთესო მსახიობი ქალი აღმოჩნდა კინომსახიობი — მერილ სტრიპი. ხოლო რაც შეეხება აზრს, მსოფლიოში მომხდარი მოვლენების შესახებ, ამჯერად ყველაზე აქტუალური საკითხი, რომელიც მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა, — არის თავისუფლება.

სწორედ ამ თემას მიუძღვნა ცნობილმა ამერიკელმა კომპოზიტორმა, რეი ჩარლზმა ახალი სიმღერა „თავისუფლება“.

მას შემდეგ, რაც ჩვენდა საქებრად კანადასა და აშშ-ში ბევრი წერილი დაიწერა, ტელეკომპანია „სი-ბი-ეს“-მა გამოგვიგზავნა ნოტები და გვთხოვა ამ სიმღერაში მონაწილეობის მიღება: უნგრეთის, ბულგარეთისა და ამერიკის გუნდებთან ერთად ჩვენ, როგორც უკვე მოგახსენეთ, ეს სიმღერა ადრევე შევისწავლეთ. სიმღერის ტექსტი ასეთია:

„თავისუფლება არ არის შტატი, როგორც მეინი ან ვირჯინია, თავისუფლება არ მდებარეობს რომელიმე ტერიტორიალური საზღვრის მიღმა. თავისუფლება ცეცხლია, რომელიც შენში იწვის, თავისუფლება სულისა და გონების მდგომარეობაა. თავისუფლება არ არის გემი, რომელიც უშენოდ მიდის, თავისუფლება არ არის ადგილი, რომლის პოვნასაც ცდილობ. თავისუფლება ის არის, თუ როგორ ფიქრობ საკუთარ თავზე. თავისუფლებას ვერ მიაღწევ მატარებლით მგზავრობით, ერთადერთი გზა თავისუფლებისაკენ უნდა იპოვო საკუთარი გონების საშუალებით. თავისუფლება ცნებაა, რომელიც აერთიანებს ყველა ერებს. თავისუფლება ყველა ადამიანის უფლებაა. ჩემი ქვეყანა, თავისუფლების ტკბილი მიწა — შენიცაა, ამ მიწას ვუმღერ. პილიგრიმების სიამაყის მიწას, სადაც ჩვენი მამა-პაპები მოკვდნენ. დაე, ყოველი მთიდან ჩამოკრას თავისუფლების ზარმა“.

11 აპრილს დილიდანვე წაგვიყვანეს „ჰოლივუდში“, კონცერტში მონაწილეობის მისაღებად.

„ჰოლივუდი“ არის პატარა ქალაქი, რომელიც თავისი ცხოვრებით — კინოთი ცხოვრობს. მაგრამ ამაზე ქვემოთ. ახლა მივყვეთ ფაქტებს.

კონცერტი შედგა უდიდეს საკონცერტო დარბაზში, რომელსაც გადაღების დროს პავილიონად იყენებენ (დარბაზის ზომაა დაახლოებით 80X80 მ).

კონცერტის რეპეტიცია დაიწყო დილის 11 საათზე.

დარბაზის შესასვლელთან რამდენიმე კარიკატურა და განცხადება იყო გამოკრული, აი ერთ-ერთი მათგანი:

„ვეძებ კარგ ქალს, რომელმაც იცის: საჭმლის მომზადება, გარეცხვა, დაკერება, ჭიაყელების მოძებნა და თევზის დამზადება. ჰყავს მანქანა და იახტა.

გთხოვთ გამომიგზავნოთ მანქანისა და იახტის ფოტოსურათი (ქალის საჭირო არ არის)“.

**ანზორ ერქომაიშვილი**

(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 51, 52, 53, 54, 55, 56, 57.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სხვა გაზეთებიდან

### რუსეთში წარმოება ეცემა

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში რსფსრ სამრეწველო წარმოების მოცულობა 2,6 პროცენტით შემცირდა. ამის შესახებ 14 მაისს განაცხადა რსფსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობისა და ენერგეტიკის კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ვლადიმირ სილაევმა („იზვესტია" № 115).

### ალკსნისი, იაპონია და... პერესტროიკა

სსრკ სახალხო დეპუტატს პოლკოვნიკ ვიქტორ ალკსნისს, რომელიც სულ ახლახან დაბრუნდა იაპონიაში კერძო მიწვევით ხანმოკლე მოგზაურობიდან, გადაწყვეტილი აქვს სწორედ ამ ქვეყანაში გამოსცეს წიგნი, რომელშიც, მისი თქმით, ლაპარაკი იქნება სსრკ-ში შექმნილ მდგომარეობასა და პერესტროიკაზე („კომსომოლსკაია პრავდა" № 10).

### პრივატიზაცია ძალებს იკრებს

კიშინიოვში კერძო მფლობელებზე გაიყიდა 50 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის ათასე მეტი საცხოვრებელი ბინა. გაყიდვის შედეგად მიღებულმა თანხამ თითქმის 7 მილიონი მანეთი შეადგინა. კერძო მფლობელებზე გაიყიდა, აგრეთვე, 24 ადმინისტრაციული შენობა. მათი მეპატრონენი ძირითადად კოოპერატივები და მცირე და ერთობლივი საწარმოები გახდნენ. („პრავდა" № 117).

### მიირთვით... კალიის შეჭამანდი

თუ გასინჯავთ კალიების ანდა პეპლის ჭუპრის შეჭამანდი?... ალბათ, ეს კითხვა ბევრ მოშიებულსაც დაუკარგავს ჭამის მადას. მაგრამ ბულგარელ კვების დარგის მკვლევარს ბრუნო კომბის თუ დავუჯერებთ, მწერებისაგან მომზადებულ სადილებს დიდი მომავალი აქვს. სწორედ ამ საკითხს ეძღვნება მისი ახალი წიგნი „ალმაფრთოვანებელი მწერები — ხვალინდელი დღის პროტეინი". კომბის თქმით, მწერებისაგან მომზადებული საკვები დიდი რაოდენობით შეიცავს ადამიანის ორგანიზმისათვის ესოდენ საჭირო პროტეინს. მოკლედ, ცოტა ხანში „კალიის შეჭამანდი" „ერთ-ერთი საფირმო სადილი" გახდება („ტორგოვაია გაზეტა", № 58).

## ოსი ეროვნების ინვალიდთა საყურადღებოდ

სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირის პრესცენტრი იუწყება, რომ მიმდინარე წლის 24 მაისს, 15 საათზე, ქ. გორში ფეიქართა კულტურის სასახლეში მოწვეულია საქართველოში მცხოვრები ოსი ეროვნებისა და სამაჩაბლოდან ლტოლვილ ინვალიდთა საგანგებო შეკრება სამაჩაბლოს კონფლიქტთან დაკავშირებით.

შეკრებას დაესწრებიან ღვთისშვილთა კავშირის ხელმძღვანელები, გორის პრეფექტურისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

საქინფორმი

## ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმღები საგამოცდო კომისიისაგან

აბიტურიენტები, რომლებმაც დაამთავრეს არარუსული სკოლა და შემოდიან ფილოლოგიის ფაკულტეტის რუსულ განყოფილებაზე, წერით გამოცდას ჩააბარებენ არაპროგრამული დაახლოებით 300 სიტყვიანი მხატვრული ნაწარმოების ტექსტის შინაარსის გადმოცემის ფორმით.

მიმღები კომისია

## საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის განცხადება

საქართველოში შექმნილი, კრიტიკულ ზღვარამდე მისული მძიმე მდგომარეობის გამო, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია და საქართველოს ეროვნულ კონგრესში გაერთიანებული ორგანიზაციები საჭიროდ მიიჩნევენ მოეწყოს გაფართოებული შეხვედრა საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციებისა, სადაც განიხილება ეროვნულ-პოლიტიკური საკითხები. ამასთან დაკავშირებით 1991 წლის 23 მაისს, ხუთშაბათს ფილარმონიის დიდ დარბაზში შედგება ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის მე-3 საგანგებო კონფერენცია, რომლის მუშაობა დაიწყება დილის 10 სთ-ზე. მოვუწოდებთ პოლიტიკურ პარტიებთან და ორგანიზაციებთან ერთად, ფართო საზოგადოებას აქტიური მონაწილეობა მიიღოს აღნიშნულ ღონისძიებაში.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!


## საააქციონერო უნივერსალური ბანკი „იბერბანკი"

### აცხადებს ღია ხელმოწერას აქციებზე

აქციის ნომინალური ღირებულებაა 100 მანეთი.
ბანკის აქციების შეძენის უფლება აქვს ყველა იურიდიულ და კერძო პირს, როგორც ნაღდ ისე უნაღდო ანგარიშწორებით.
პრივილეგიურ სახელობით აქციებზე გაიცემა ფიქსირებული დივიდენდი 14 პროცენტის ოდენობით.
ბანკი თავის მხრივ იტოვებს უფლებას, აქციონერებთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, დივიდენდი გასცეს უცხოური ვალუტით საანგარიშწორებო პერიოდისათვის შესაბამისი მოქმედი კურსით.
აქციებზე ხელმოწერა დაიწყო და გაიყიდება 1991 წლის 15 ივნისამდე ნომინალური ღირებულებით (100 მან.), ხოლო შემდგომში საბაზრო ფასნამატით.
ბანკის მისამართი: 380007, თბილისი, ქიქოძის ქ. №8. საკორესპონდენტო ანგარიში 000161611, საქართველოს რესპუბლიკური ბანკი 521006.
ტელ. 98-50-70, ფაქსი 8832 988090 JSU BANK
ბანკის აქციების შეძენა შეიძლება ფოსტით. ამისათვის საჭიროა ბანკის მისამართზე განაცხადის გაგზავნა.

საააქციო უნივერსალური ბანკი
„იბერბანკი"
380007, თბილისი, ქიქოძის ქ. №8
ტელ: 98-50-70
ფაქსი 8832 988090 JSU BANK

აქციონერის დასახელება და მისამართი

_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

(ორგანიზაციის დასახელება ან სახელი, გვარი, მამის სახ.)

_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

ანგარიშსწ. ანგარიში (ორგანიზაციისათვის) _ _ _ _ _ _ _ _ _ _

ტელ: _ _ _ _ _ _ _

განაცხადი

საააქციო უნივერსალური ბანკი „იბერბანკი"-ს აქციის შეძენაზე.
ვყიდულობ (რაოდენობა) _ _ _ _ _ _ _

აქციის საერთო თანხით _ _ _ მან.

აქციის სახეობა და რაოდენობა

| უბრალო სახელობითი | პრივილეგიური სახელობითი |
| --- | --- |
| | |

ფულის გადახდის დამადასტურებელი საბუთი მისამართზე: 380007, თბილისი, ქიქოძის ქ. №8 საააქციო უნივერსალური ბანკი „იბერბანკი" საკორ. ანგარიში 000161611 საქ. რესპუბლიკური ბანკი 521006


## ნარდი. ნარდი. ნარდი...

# მამაკაცებო, გაფრთხილდით!

საქართველოს ნარდის ეროვნული ფედერაციის (სნეფ) თაოსნობით ამ რამდენიმე ხნის წინათ კიდევ ერთი საინტერესო ასპარეზობა ჩატარდა. 3 დღის განმავლობაში კუს ტბის სპორტულ გამაჯანსაღებელ კომპლექსში მიმდინარეობდა თბილისის ღია პირველობა მოკლე ნარდში, რომელიც იგივე ფორმულით ჩატარდა, როგორც საქართველოს ჩემპიონატი. ამ საინტერესო შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის თითქმის ყველა უძლიერესმა მონარდემ (გარდა რევაზ სოხაძისა), აგრეთვე, სტუმრებმა ესტონეთიდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან. ამ უკანასკნელთა რიგებში ვიხილეთ ნარდის ქართველ გულშემატკივართათვის კარგად ცნობილი ფაიქ ჰუსეინოვიც (შარშანდელი საქართველოს პირველი ღია ჩემპიონატის ტრიუმფატორი), თუმცა ბაქოელი მონარდე ძირითადი ტურნირის პირველსავე წრეში დამარცხდა გიორგი ბარბაქაძესთან, ხოლო შემდეგ უკვე „სანუგეშო" ტურნირის დროს მას დამარცხება აგემა 96 მონარდეთა შორის მონაწილე ერთადერთმა ქალმა — თბილისელმა მანდილოსანმა ნანა ხაზიურმა...

აღსანიშნავია, რომ ქალბატონმა ნანამ ზედიზედ რვა (!) ძლიერი სქესის წარმომადგენელი დაამარცხა და ნახევარფინალშიც გავიდა. აქ მისი მეტოქე იყო საქართველოს 1991 წლის ჩემპიონი გრძელ ნარდში ბათუმელი ილია შანიძე და აქაც ქალბატონი ნანა არ შემდრკალა — მან ბრწყინვალედ ჩაატარა ეს დაძაბული ორთაბრძოლა და ფინალის საგზურიც მოიპოვა. ძალზე საინტერესო აღმოჩნდა მეორე ნახევარფინალური წყვილიც, სადაც ერთმანეთის პირისპირ წარსდგა ორი საკმაოდ გამოცდილი და ძლიერი მონარდე, მომავალი მსოფლიო პირველობის საგზურის პრეტენდენტები ნუგზარ სიკინჭილაშვილი და ბიძინა კიკნაძე. ამ ლამაზ შეხვედრაში წარმატება ბიძინა კიკნაძეს ხვდა წილად — 15:10. აქვე, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მხოლოდ ამ ორმა მონარდემ შესძლო ღირსეულად გამოსვლა და თავიანთი საკმაოდ მაღალი რეპუტაციის შენარჩუნება. ზოგს ბედმა არ გაუღიმა, ზოგიც თავის შესაძლებლობებზე სუსტად თამაშობდა, არადა საკმაოდ მრავლად იყვნენ ყველაზე მაღალი რეიტინგის მქონე მონარდეებიც — მიხეილ სურგულაძე, ემზარ ლაითაძე, მერაბ უკლება და სხვები.

და აი, ფინალიც — ბიძინა კიკნაძე—ნანა ხაზიური. დასაწყისში ხაზიურმა არანაირი შანსი არ დაუტოვა მეტოქეს და საგრძნობი უპირატესობით დაწინაურდა კიდეც — 10:1. მაგრამ, ეტყობა, ქალბატონ ნანას საქმე მოთავებული ეგონა და, ამასთან, მის მოწინააღმდეგეს მეტად მტკიცე და, რომ იტყვიან, მართლაც მამაკაცური ნერვები აღმოაჩნდა... საბოლოოდ, ბიძინა კიკნაძემ, საქართველოს ნარდის ეროვნული ფედერაციის პასუხისმგებელმა მდივანმა, შესძლო მეტად საპატიო წარმატების მოპოვება (17:10) და თბილისის ღია პირველობის გამარჯვებულის სახელიც მოიპოვა.

უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის ღია პირველობაზე შემოსული მთელი თანხა — **10 000 მანეთი მთლიანად გადაირიცხება სტიქიით დაზარალებულთა დახმარების ფონდში.**

უახლოესი ტურნირი, რომელიც სნეფ-ის ეგიდით ჩატარდება, იქნება „ვესტას დიდი პრიზი", რომელიც ივნისშია დაგეგმილი, იქამდე კი საქართველოს ნაკრები მონაწილეობას მიიღებს საკმაოდ პრესტიჟულ და წარმომადგენლობით საერთაშორისო ტურნირში „ბადენის მიწის თასი", რომელიც 30 მაისს დაიწყება გერმანიის ქალაქ შტუტგარტში. საქართველოს ნაკრებისათვის „ბადენის მიწის თასი" ბოლო და სერიოზული რეპეტიცია იქნება მსოფლიო ჩემპიონატისათვის, რომელიც მონტე-კარლოში გაიმართება 15-21 ივლისს.

გივი ტიბანელი

ეროვნული ბიბლიოთეკა


## მამისონი

MAMIŞONY®

საქართველოს რესპუბლიკური საწარმოო ასოციაცია „კომპლექსი“-ს ფირმა „მამისონი“: გიწვევთ ა.წ. 15 სექტემბრიდან უმაღლესი კომერციული ინგლისურის შესასწავლად. სახელმძღვანელო შესაბამისი ტერმინოლოგიის და სიტყვების ინგლისურ-ქართულ-რუსული განმარტებითი ლექსიკონით მსმენელებს გადაეცემათ სწავლის დაწყების წინ.

გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში დღესდღეობით მხოლოდ ჩვენთან შეგიძლიათ დაეუფლოთ უმაღლეს საერთაშორისო დონეზე კონტრაქტების შედგენის, მოლაპარაკების, საქმიანი მიმოწერის, პრეტენზიების, საქონლის მიწოდების და ბიზნესისათვის საჭირო სხვა აუცილებელ დეტალებს.

ვიწვევთ მსმენელებს, რომლებიც კითხულობენ და თარგმნიან ინგლისურად ლექსიკონის დახმარებით. სწავლების ხანგრძლივობა 8 თვეა, მეცადინეობის განრიგი შეირჩევა თქვენთან შეთანხმებით. სწავლის ღირებულებაა 2960 მანეთი. უცხოელთათვის 2960 ამერიკული დოლარი ყველა ხარჯის ჩათვლით საქართველოში. თანხის გადახდა შეიძლება როგორც გადარიცხვით, ასევე პირადად. განცხადებები მიიღება ა.წ. 1 ივნისამდე.

ჩვენი ანგარიშია №000468005 კომერციული ბანკი „თბილისი“, ანგარიში №000161307, კოდი 521006, სახელმწიფო ბანკის საოპერაციო სამმართველო.

გელით! კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!

გჯეროდეთ, ჩვენი კურსდამთავრებული სპეციალისტი გარანტიაა თქვენი მომავალი წარმატებული ურთიერთობისა საზღვარგარეთის ფირმებთან.

დაწვრილებითი ცნობებისათვის დარეკეთ ტელეფონებით: 95-23-72; 95-93-72.

მისამართი: ართვინის ქ. №53 (საბჭოს მოედნიდან ასახვევი ხელმარჯვნივ. ავტობუსი №29 ყოფილ კოლმეურნეთა მოედნიდან).

სარეკლამო-სააგენტო „არგო-ბლიკი“



## ფირმა „გლობუსი“
### თურქეთში წამსვლელთა საყურადღებოდ

სატრანსპორტო-ტურისტული ფირმა „გლობუსი“ მოქალაქეებს სთავაზობს მოგზაურობას თურქეთის რესპუბლიკაში მარშრუტებით: **თბილისი — ტრაპიზონი — თბილისი** (მგზავრობის ხანგრძლივობაა 5 დღე), **თბილისი — სტამბული — თბილისი** (მგზავრობის ხანგრძლივობა 7 დღე).

ანგარიშსწორება წარმოებს, როგორც ნაღდ-ანგარიშზე, ისე გადარიცხვით.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ ფირმა „გლობუსს“ მისამართზე: **კანკავას ქ. №8 (საბჭოს ქ.12-თან).**

ტელ: **96-94-49.**



ვაკის დახურულ საცურაო აუზში სიმაღლეში ზრდის რესპუბლიკური ცენტრი აცხადებს მსურველთა მიღებას ცნობილი მოსკოველი ექიმ-ნოვატორის ა. ს. პალკოს მიერ შემუშავებული მეთოდიკით დაკომპლექტებულ ჯგუფებში.

ცენტრის ხელმძღვანელია რესპუბლიკაში ერთადერთი ექიმ-სპეციალისტი, პალკოს მიერ დიპლომირებული, თბილისში პირველი კაბინეტის დამაარსებელი თ. ვ. ქორიძე.

გამოცდილი სპეციალისტების, მასაჟისტებისა და მეთოდისტების ხელმძღვანელობით თქვენ შეგიძლიათ გარდა სიმაღლეში მომატებისა, მარტივი და ორგანიზმისათვის უვნებელი მეთოდით:

— ზედმეტი წონის მოკლება;
არასწორი დგომისა და სიარულის გამოსწორება;
I-II ხარისხის სკოლიოზის მკურნალობა.
თქვენ გელით ტრენაჟორების დარბაზი და მასაჟი,
საცურაო აუზი და საუნა.

იჩქარეთ! 25-დღიანი კურსის ჩატარების შემდეგ თქვენ გაცილებით უკეთ, ლამაზად და მსუბუქად იგრძნობთ თავს.

მისამართი: ი.ჭავჭავაძის პრ. №49; ტელ.: 22-61-00

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“



**ორგანიზაცია ყიდის ახლების გადასახლებ გასამრავლებელ ახალ იმპორტულ აპარატურას:**

1. Xepox 1050 — მწარმოებლურობა: 50 ასლი წუთში, სახარჯი მასალების მარაგი 700 ათასი ასლისათვის. ფასი 240 ათასი მანეთი.
2. Ricon 5560 — მწარმოებლურობა: 40 ასლი წუთში. სახარჯი მასალების მარაგი 1 მილ. ასლისათვის. ფასი 265 ათასი მანეთი.
3. Canon 8580 — მწარმოებლურობა: 82 ასლი წუთში. სახარჯი მასალების მარაგი 1 მლნ. ასლისათვის. ფასი 510 ათასი მანეთი.

გადახდა შესაძლებელია როგორც გადარიცხვით, ისე ნაღდ ანგარიშზე საბჭოთა მანეთებით ან ვალუტით.

ფასები საბაზროზე ნაკლებია.

**ცნობებისათვის მოგვმართეთ:** თბილისის მეტროპოლიტენის სადეპო „ვარკეთილი“ ქსეროასლების საამქრო ტელ. **34-97-60** ყოველდღე **10.00—18.00.**


## სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების წევრთა საყურადღებოდ

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ არსებობს მერაბ კოსტავას საზოგადოების ყალბი პირადობის მოწმობები. ამასთან დაკავშირებით ვაცხადებთ, რომ საზოგადოების მოწმობა აღარ არის ძალაში და ყველა წევრი ვალდებულია პირადობის მოწმობა ჩააბაროს საზოგადოების ცენტრალურ გამგეობას ამა წლის 25 მაისამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლებიან საზოგადოებისაგან გარიცხულად.

ახალი ნიმუშის მანდატების გაცემა მოხდება საზოგადოების ცენტრალური გამგეობის გადაწყვეტილებით.

**სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების ცენტრალური გამგეობა.**


## ინგლისური ენის შემსწავლელთათვის!

თქვენ გეძლევათ საშუალება უმოკლეს ვადაში (2 თითო თვიანი კურსი) შეისწავლოთ ინგლისური სალაპარაკო ენა. სწავლება ჩატარდება შეხტერის სკოლის ინტენსიური მეთოდის (მიხედვით) გამოყენებით. კურსებს ატარებს მოწვეული სპეციალისტი, შეხტერის ასისტენტი.

კურსები ორგანიზებულია სდსის გაერთიანება „აისის“ მიერ. მსმენელთა რაოდენობა ლიმიტირებულია (2 ჯგუფი — თითოეულში 15 მსმენელი), ასე რომ იჩქარეთ.

ცნობისათვის და განაცხადისათვის დარეკეთ **34-97-60.** (10.00-დან 18.00-მდე) გასაუბრება 25 მაისს 12.00 თსუ-ს V კორპუსში, ინგლისური ენის კათედრა.

კურსების შემოსავალი გადაირიცხება მიწისძვრით დაზარალებულთა დახმარების ფონდში.



**კერძო საწარმოს შექმნის მსურველთა საყურადღებოდ**

საინფორმაციო-საკონსულტაციო ფირმა „კოლხა-კონსულტ“-ი უმოკლეს ვადაში შეიმუშავებს თქვენთვის ნებისმიერი პროფილის კერძო (ინდივიდუალური) საწარმოს სადამფუძნებლო დოკუმენტაციას და დაიცავს თქვენს ინტერესებს საწარმოს მარეგისტრირებულ სახელმწიფო ორგანოებში.

**ჩვენი მისამართია: ქ. თბილისი, ლერმონტოვის ქ.18, IV სართული, საინფორმაციო-საკონსულტაციო ფირმა „კოლხა-კონსულტ“.**

**ტელეფონები: 99-02-76, 93-99-70**
**დილის 10 საათიდან 16 საათამდე.**

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“



## სწრაფად და ხარისხიანად

გთავაზობთ ინდივიდუალურ სავიზიტო ბარათების დამზადებას კომერციული ცენტრი „სიო“. შეკვეთები მიიღება როგორც ინდივიდუალური პირებისაგან, ისე ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისაგან. მოგვმართეთ **ლესელიძის ქ.18.** ძმებ სისაურების სახელოსნო-სალონი, აქვე თქვენ შეგიძლიათ შეუკვეთოთ სასაქონლო ან საფირმო ნიშანი.

**ტელ: 98-85-77**

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“



## საუკეთესო პროფესიონალები თქვენს სამსახურში!

ფირმა „თარჯიმანი“ გაძლევთ სამუშაოს შესრულების მაღალი ხარისხისა და სისწრაფის გარანტს თუ:

— თქვენ აუცილებლად გჭირდებათ მხატვრული ან სპეციალური ტექსტის, აგრეთვე ხელშეკრულების თარგმნა ქართული ან რუსული ენებიდან ნებისმიერ უცხოურ ენაზე (აღმოსავლური და აზიური ენების ჩათვლით), ან პირიქით;

— გსურთ გადასცეთ ინფორმაცია ფაქსით ან ტელექსით საზღვარგარეთ;

— ეძებთ თარჯიმანს, რათა აწარმოოთ მოლაპარაკებები საზღვარგარეთულ პარტნიორებთან, ან მეგზურობა გაუწიოთ უცხოელ ტურისტებს საქართველოს ისტორიული და ღირსშესანიშნავი ადგილების დათვალიერებისას;

— თქვენ გადაწყვიტეთ სერიოზულად და, რაც მთავარია, სწრაფად დაეუფლოთ რომელიმე უცხო ენას.

საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციასთან შექმნილი ფირმა „თარჯიმანი“ გელით თქვენ ყოველდღიურად, გარდა შაბათ-კვირისა მისამართზე: თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 19, ოთახებ 92 და 102. ტელეფონი 93-11-30.



## მათთვის, ვინც სოფლის მეურნეობაშია დაკავებული!

მებაღეობისათვის და სანერგე მეურნეობისათვის გთავაზობთ ტორფსა და ორგანულ ქოთნებს.

ზემოხსენებული „ფერმერის კომპლექტი“ უზრუნველყოფს ბოსტნეულის, ხილის, ყვავილებისა და სხვა მცენარეების ზრდას ბუნებრივ პირობებში.

გაყიდვა წარმოებს როგორც გადარიცხვით, ასევე ნაღდ ანგარიშზე.

**მისამართი:** ავჭალის გზატკეცილი №75-ს და №77-ს შორის მდგარი წითელი ჯიხური წარწერით: „საპანე“. მოგვმართეთ ყოველდღე დასვენების დღეების ჩათვლით 9 სთ-დან 20 სთ-მდე.



ახალგაზრდა ივერიელი

Общественно-политическая газета

ტელეფონები: მისაღები — 93-97-81; პასუხისმგებელი მდივანი — 93-81-56; წერილების განყოფილება — 99-90-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი მერაბ გალარჯიშვილი

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა თბილისი, მ. კოსტავას 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში სოშარაულის 29.

1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15.

НАШ ИНДЕКС 66400

რედაქციის მისამართია ქ. თბილისი — 380096 მ. კოსტავას ქ. № 14.